ახალი განათლება

28.06-04.07.2018

№23 (817) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ასახული ადამიანის უფლებების ასპექტები

გვერდი 2

გვერდი 3

პროფესია პედაგოგი

ოცდათორმეტი წელია მშობლიურ სკოლაში ვასწავლი

გვერდი 4

სამოდელო გაკვეთილი

ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შექმნა – ფარნავაზ მეფე და მისი ეპოქა

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6

პედაგოგთა დასახმარებლად

„ახალმა განათლებამ“ გამოსცა კრებული „სამოდელო გაკვეთილი“, რომელშიც შესულია პროფესიონალი პედაგოგების, მათ შორის მენტორების მიერ მომზადებული სამოდელო გაკვეთილები და რეფლექსიები ყველა საგანში, უცხო ენების გარდა. სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ნიმუშები დაეხმარება მასწავლებლებს სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვასა და შეფასებაში.

ფასი – 12 ლარი

დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 555 411 668, 593 300 264

მათემატიკის პედაგოგთა საყურადღებოდ

კრებული პრაქტიკული ხასიათისაა და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებისთვის. მასში შეტანილია სავარჯიშოები და ტესტები, მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა საგამოცდო პროგრამის გათვალისწინებით. კრებულში 4 ტესტია, თითოეული მოიცავს:

- 30 ერთეულიან დახურული ტიპის სავარჯიშოს სავარაუდო პასუხებით;
- ერთ 10-ქულიან სავარჯიშოს;
- ერთ 5-ქულიან სავარჯიშოს;
- ერთ 7-ქულიან ღია ტიპის სავარჯიშოს პასუხებით.

ფასი – 10 ლარი

კვლევა

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ასახული ადამიანის უფლებების ასპექტები

ლალი ჯელაძე

25 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა, **ნინო ლომჯარიამ**, წარმოადგინა სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის კვლევა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში“, რომელიც დანიის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის (DIHR) დაფინანსებით განხორციელდა. კვლევა მოიცავს ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს – სასწავლო პროგრამების, ზოგადი განათლების შესახებ რეგულირების ჩარჩოს, სკოლების სასწავლო კლიმატისა და სკოლების მართვის/ადმინისტრირების პრაქტიკის მიმართულებებით.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების და მათ შორის, ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ 64 საჯარო და კერძო სკოლაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა განახორციელა. ინტერვიუები ჩაუტარდა სამ სამიზნე ჯგუფს: VII-XII კლასის მოსწავლეებს, იმ საგნების პედაგოგებს, რომელთა სასწავლო პროგრამაც მოიცავს ადამიანის უფლებების ასპექტებს და სკოლების ადმინისტრაციას, სულ 1480 ინტერვიუ.

სახალხო დამცველმა ზოგადი განათლების საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს დახვეწის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლების გაძლიერების მიმართულებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებებს ჯერ კიდევ მოკრძალებული ადგილი უჭირავს და, ძირითადად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის საგნებშია ასახული.

„ადამიანის უფლებების სფეროში ცოდნისა და ინფორმირებულობის დაბალ ხარისხს, ძირითადად, ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს – ერთი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომავალი მასწავლებლებისთვის განათლების პროგრამები სრულყოფილად შემუშავებული არ არის და მეორე – ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მასწავლებლებს არც შემდგომ ეძლევათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მცირე დრო ეთმობა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას და ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ამ სფეროში, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირულია. მიმაჩნია, რომ სასკოლო ასაკში ადამიანის უფლებების შესახებ ძირითადი ფაქტების შესასწავლად და პრაქტიკაში მათ დასანერგად მნიშვნელოვანია სასკოლო გარემო, რომელიც ადამიანის უფლებებზე იქნება დაფუძნებული, ანუ კლიმატი, სადაც ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანი ხდება, მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, ჩამოიყალიბონ და გამოიყენონ საკუთარი და სხვა ადამიანის უფლებების დასაცავად აუცილებელი პრაქტიკული უნარები“ – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტები.

CCIIR- ის ხელმძღვანელმა, **შალვა ტაბატაძემ**, კვლევის მიზნებზე საუბრისას აღნიშნა, რომ უმთავრესი ამოცანა იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ არსებული მდგომარეობის შესწავლა. *„კონკრეტული ამოცანების ქვეშ კი უფრო კონკრეტული საკითხები შევისწავლეთ. მაგალითად, რამდენად ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ საკითხებს, მასწავლებელთა მიერ რამდენად ხდება ადამიანის უფლებების სწავლება უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, კლასგარეშე აქტივობების სახით თუ ზოგადად, იმ სასკოლო კლიმატისა და გარემოს შექმნით, რომელიც პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა სწავლებას უზრუნველყოფს. გვაინტერესებდა გამოგვეკვლია მასწავლებელთა ცოდნა და კომპეტენციები და მათი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, რადგან მასწავლებლის კომპეტენციას, ამ კონტექსტში, საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს. ასევე გვაინტერესებდა შეგვესწავლა მოსწავლეთა ცოდნა და უნარები ადამიანის უფლებების მიმართულებით, ასევე რამდენად მიუწვდებათ მათ ხელი ინფორმაციებსა და რესურსებზე. ამასთანავე, კვლევის ერთ-ერთი მიმართულება შეეხო სასკოლო დონეზე სამოქალაქო აქტივიზმის შესაძლებლობას და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბების უნარის პრაქტიკული განვითარების შესაძლებლობებს. ერთ-ერთი ამოცანა სასკოლო გარემოს შესწავლაა – რამდენად არის ადამიანის უფლებები დაცული და უზრუნველყოფილი.*

გამოკითხვაში მონაწილე 64 სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და ადმინისტრაციის ინტერვიუებით ჩვენ გავაანალიზეთ არსებული სიტუაცია. თავისთავად, ანალიზი გაუკეთდა არსებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ახლა ხორციელდება და არა 2018-24 წლისთვის დაგეგმილს. რაც შეეხება საბაზო საფეხურს, კვლევის პერიოდს დაემთხვა ამ საფეხურზე მოქალაქეობის საგნის შემოტანა და განხილვა. ამიტომაც უპრიანად ჩავთვალეთ, რომ, გარკვეულწილად, ამ პროცესშიც ჩავრთულიყავით. ვფიქრობთ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია საგნის დამატება VII-IX კლასებშიც, რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ შედეგს მოიტანს. ზოგადი შეხედულება იყო, რომ საგანი მეტად აკეთებს აქცენტებს სამოქალაქო ვალდებულებებზე და შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებები. ევროსაბჭოს პოლიტიკის შესაბამისად, ადამიანის უფლებების ნაწილს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საგნის ფარგლებში და, სამოქალაქო უფლებებთან ერთად, ადამიანის უფლებების სწავლებაც მნიშვნელოვნად განხორციელდეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ეროვნული სასწავლო გეგმის პრაქტიკული განხორციელება – დიდწილად დამოკიდებულია მასწავლებლების კომპეტენციაზე, ამიტომ კვლევის ფარგლებში გვინდოდა შეგვესწავლა მათი კომპეტენცია და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. კვლევაში ჩაშლილი კითხვარით მივიღეთ ინფორმაცია უმაღლესი განათლების საფეხურზე იღებენ თუ არა განათლებას ადამიანის უფლებებისა და მისი სწავლების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას მსგავსი საგანი, რომელიც ადამიანის უფლებებთანაა დაკავშირებული, გავლილი არ ჰქონდა. ძირითადად, დასახელებული იყო ადამიანის უფლებების საკითხების ინტეგრირებული სწავლება, ყველაზე ხშირად უმაღლესში ნასწავლი ჰქონდათ ტოლერანტობა, ინკლუზიის მულტიკულტურული და კულტურული განათლების კურსები, ნაწილობრივ, ბავშვთა უფლებები, ადამიანის უფლებების საკითხები კი გამოკითხულთა შორის ყველაზე მცირე პროცენტს ჰქონდა ნასწავლი. რაც შეეხება სასკოლო დონეზე ადამიანის უფლებათა სწავლებას, კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სკოლის ადმინისტრაციას ამ მიმართულებით შესაბამისი პოლიტიკა არ აქვს. ჩვენთვის საინტერესო იყო, ასევე, მეტნაკლებად გაგვეგო მოსწავლეთა ცოდნა, დამოკიდებულება და უნარები ადამიანის უფლებების საკითხთან მიმართებაში. არა მხოლოდ გარკვეულ დებულებებზე ვთხოვდით მოსწავლეებს პასუხის გაცემას, არამედ გარკვეული კონკრეტული კორელაციები გვქონდა დასმული. აქ რამდენიმე საინტერესო საკითხი გამოიკვეთა. მაგალითად, კვლევაში მონაწილე 45 მოსწავლე მიიჩნევდა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის შრომა განსხვავებულად უნდა ანაზღაურდებოდეს, 58 მოსწავლე აღიარებდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, თუმცა, ფიქრობდა, რომ ქალის მთავარი ფუნქცია დიასახლისობა და ბავშვის გაზრდაა. 49 მოსწავლე მიიჩნევდა, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფის მოსწავლეს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობა არ უნდა მიეცეს და ა.შ. დებულებებზე პასუხობდნენ, რომ, რა თქმა უნდა, ეთნიკური ნიშნით საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია, თუმცა, 960 მოსწავლიდან 50 (5-6%) მაინც ასე ფიქრობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა იციან რა პასუხით უნდა ჩამოაყალიბონ ოფიციალურად დეკლარირებული დებულებები (მაგალითად, ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე), მაგრამ კონკრეტულ საკითხებს, რომელიც იმავე თანასწორობას ეხებოდა, მათი პოზიციები განსხვავებულია.

ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში, რომელიც მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივიზმს ეხება, ყურადსაღები ფაქტორი გამოკვეთა. მოსწავლეებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე, თუ წააწყდებოდნენ ჩაგვრის ან დაცინვის ფაქტებს რა რეაგირებას მოახდენდნენ. ცალსახად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს დაბალი ნდობა აქვთ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისადმი. დაახლოებით, 11-16% პროცენტმა უპასუხა, რომ ისინი ამ დროს პროცესში მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას რთავდნენ, რაც ცალსახად მიუთითებს სკოლის, როგორც ინსტიტუტის ნდობის, ნაკლებობაზე. 57%-მა მიუთითა, რომ ისინი თვითონ ეცდებიან მოაგვარონ პრობლემა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – 12%-მა მიუთითა, რომ აბსოლუტურად ინერტულია, ანუ არანაირ რეაგირებას არ ახდენს ამ ფაქტზე. ყურადღებას გავამახვილებ იმ 57%-ზე, რომელიც თვითონ ცდილობს პრობლემის მოგვარებას. ეს ტიპური მაგალითია იმისა, როცა გარკვეულ ინსტიტუციებს, სკოლის გარეთ, ეძლევათ შესაძლებლობა, მოსწავლეებს შორის კომუნიკაცია დაარეგულირონ. როცა დაბალი ნდობაა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისადმი, სწორედ ამ დროს ხდება გარეშე პირების ჩაბმა პროცესში და თუ ნდობა გაიზრდება, რა თქმა უნდა, სკოლის შიგნით მოგვარდება სადავო საკითხები. ამით იმ ინსტიტუციებს, რომელიც სკოლის გარეთ არსებობს (სამეგობრო თუ ქუჩის ინსტიტუციები), რა თქმა უნდა, ნაკლები შეხება ექნებათ მოსწავლეებთან.

რაც შეეხება იმ 12,4%-ს, რომელიც აცხადებს, რომ ინერტულია და არაფერს აკეთებს, როცა მის თვალწინ ჩაგვრა ხდება ან დაცინვა ხორციელდება, უმოქმედობის სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, მათ შორის, შიშის ფაქტორს. ამბობდნენ, რომ თავს იმის გამოც არიდებენ, რომ ეშინიათ, თავად არ გახდნენ ჩაგვრის მსხვერპლი. თუმცა, ერთ-ერთ მიზეზად, იმასაც ასახელებენ, რომ პროცესში ჩართვა მათთვის ამბის მიტანასთან ასოცირდებოდა (ეს მიზეზი პროცენტულად უფრო მაღალი, ბიჭებში დასახელდა).

პრეზენტაციაზე განსაკუთრებული ყურადღება სკოლაში არსებულ ბულინგზე გამახვილდა. სკოლაში ბულინგი ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, ამიტომ თვალის დახუჭვა და იმის ძახილი, რომ ჩვენს სკოლებში ბულინგი არ არის ან შემცირებულია, შედეგს ვერ მოიტანს. ბულინგის მართვა აუცილებელია, რაც უფრო წინ მიდის საზოგადოება, მით მეტი მოეთხოვება. ამ პროცესში დიდი როლი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკისრება – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში. განათლების სამინისტროს პრეზენტაციამდე მიაწოდეს კვლევის შედეგები და მომავალში დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო აქტიური თანამშრომლობა.

სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ განათლების სამი-

კვლევა

ნისტროს მხრიდან სწრაფი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მისი აზრით, ასევე უმნიშვნელოვანესია მშობლებისა და საზოგადოების მხარდაჭერა, რადგანაც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ, რეალურად, უარყოფითი როლი შეასრულა საზოგადოებამ, მშობლებმა და სკოლის ადმინისტრაციამაც. საზოგადოების განწყობას კი სწორედ განათლების სისტემა ცვლის, სწორედ განათლების სისტემაზეა დამოკიდებული როგორ მივაწვდით ინფორმაციას საზოგადოებას და მშობლებს.

რა ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უახლოეს მომავლაში? ამ კითხვას მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა** უპასუხა და აღნიშნა, რომ „მოუსმინეთ მოსწავლეებს“ კამპანიის ფარგლებში მოსმენილი იყო 35 ათასი მოსწავლე. ყველა მათგანმა გამოთქვა წუხილი ბულინგთან დაკავშირებით და ისაუბრა პრობლემის გადაჭრის საკუთარ ხედვაზე. *„გამოიკვეთა, რომ ყველაზე დიდ პრობლემად მოსწავლეები მასწავლებლებისა და მშობლებისადმი ნდობის არქონას ასახელებენ. ამიტომაც სამინისტროს მიერ დაგეგმილ ქმედებებში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამას ექცევა. მისივე ინფორმაციით, გაიხსნა ცხელი ხაზი, რომელსაც უამრავი ბავშვი მიმართავს, ეს არის 24-საათიანი ფსიქოლოგიური სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ არის გამოწვევა და თხოვნა მიდის მათთან, ფსიქოლოგი მუშაობს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში საჭიროა მანდატურის ჩართვა. ამ მიმართულებით კარგი შედეგი მოიტანა იმან, რომ მოსწავლეების მიერ გამხელილი ინფორმაცია კონფიდენციალურია. ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გაკეთდა ინტერაქტიური გვერდი, სადაც კონფიდენციალურად შეკითხვებზე პასუხს იღებს არა მხოლოდ მოსწავლე, არამედ მშობელიც, მასწავლებელიც და საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი. იმის გარდა, რომ მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება დაიგეგმა ცნობიერების ამაღლების კუთხით როგორც მასწავლებლებში, ისე მოსწავლეებსა და მათ მშობლებში, უამრავი სახელოვნებო და სპორტული აქტივობები მიმართულია მოსწავლის თავისუფალი დროის სწორად მართვისკენ. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც შედგება ოთხი კომპონენტისგან – პრევენცია, რომელიც ძირითადად საგანმანათლებლო ღონისძიებებს მოიცავს, ასევე საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს; ძალიან მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებისა და რისკების განმსაზღვრელი კომპონენტი და შეიძლება ითქვას, ყველაზე რთულიც; შემდეგი კომპონენტი დროულ და ეფექტურ რეაგირებას მოიცავს, რომლიც შემდეგაც უნდა განხორციელდეს ბულინგის პროგრამაში ჩართვა; ბოლო და ახალი კომპონენტი, რომელიც სისტემას დაემატა, მონიტორინგია. დანარჩენი მეტ-ნაკლებად ფრაგმენტულად მაინც იყო წარმოდგენილი, მონიტორინგი კი არასოდეს გაკეთებულა.*

ყველა რეგიონში შეიქმნება სტრუქტურა, სადაც შესაძლებელი იქნება მიმართვა არა მხოლოდ სკოლის დონეზე და რაც მთავარია, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში სოცმუშაკი ჩაერთვება, რადგან ხშირად ძალადობა ოჯახიდან მოდის. ჩვენ მიერ დაგეგმილი ღონისძიებებიდან სიახლეა ისიც, რომ შეიქმნება კრიზისული ინტერვენციის ორი ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, ფსიქორეაბილიტაციაზე იქნება მიმართული. ამასთანავე, ყველა სკოლაში განვსაზღვრეთ უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი და მათი გადამზადება დავიწყეთ. ახლა უკვე ვიცით, ვის მივმართოთ სკოლაში, თუკი არ მოხდება ბულინგის ფაქტზე რეფერირება ან სწორი რეაგირება. ეს პროგრამები სრულად სექტემბრიდან ამოქმედდება.“ – აღნიშნა ლია გიგაურმა.

სახალხო დამცველმა განათლების სფეროში ჩართულ ყველა ინსტიტუციას, სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო სექტორს თანამშრომლობის სრული მზაობა განუცხადა, რათა ერთობლივი ძალისხმევით გაუმკლავდნენ მოზარდთა აღზრდისა და განათლების კომპლექსურ პრობლემებს.

შეხვედრის დასასრულს გამართულ დისკუსიაზე კვლევის შედეგები და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით სამოქალაქო განათლებაზე პასუხისმგებელი უწყებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები განიხილეს. ერთ-ერთი რეკომენდაცია იმ გამოწვევას ეხება, რომელიც ადამიანის უფლებების შელახვისას, მათ შორის ჩაგვრისა და ძალადობის შემთხვევებში, მოსწავლეთა ინერტულობას ეხება. უმოქმედობის გამომწვევი მიზეზი კი ხშირად რეაგირების სტრატეგიების უცოდინრობასთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში და, მათ შორის, ბავშვებში ადამიანის უფლებების დარღვევაზე რეაგირება „ამბის მიტანასთან“ ასოცირდება. ეს კი მოსწავლეთა ნაწილისთვის მიუღებელია, განსაკუთრებით ვაჟების შემთხვევაში. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის რეკომენდაცია ასეთია: ადამიანის უფლებების დარღვევების გამოსავლენად და შესაბამისი რეაგირების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია: სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მანდატურების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების საკითხებზე; მოსწავლეთათვის ჩაგვრის/ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვადასხვა შემთხვევის გამოსავლენად და მათ შესახებ მხარეებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, მექანიზმების უზრუნველყოფა (მაგ., ანონიმური წერილების ყუთი, შიდა სასკოლო ანონიმური გამოკითხვა და სხვ.); სკოლების ადმინისტრაციის მიერ, ადამიანის უფლებათა შელახვის შემთხვევებზე რეაგირების წესებისა და სანქციების შემუშავება და სკოლის სტენდებზე მათი საჯაროდ გამოკვრა, ყველასათვის ცნობილი რომ გახდეს; სკოლის შიდა რეგულირების წესების დაფუძნება ძირითად წესებსა და ინსტრუქციებზე, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად უნდა შეიმუშაოს.

პროფესია პედაგოგი

ოცდათორმეტი წელია მშობლიურ სკოლაში ვასწავლი

რუსუდან ბასილაია
მარტვილის პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი

ჩემ შესახებ

მე ვარ რუსუდან ბასილაია – მარტვილის პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი, პროფესიული განვითარების სქემის შეფასების ჯგუფის წევრი. დავიბადე მარტვილში. ვსწავლობდი მარტვილის პირველ საშუალო სკოლაში. დავამთავრე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უკვე ოცდათორმეტი წელია მშობლიურ სკოლაში ვასწავლი.

პროფესიის არჩევანი

პროფესიული ცხოვრების სკოლასთან დაკავშირება ოჯახურმა გარემომ განაპირობა. მასწავლებლობაზე ბავშვობიდანვე ვფიქრობდი და დღემდე ერთი წუთითაც არ მიფიქრია „ნეტავ, სხვა პროფესია ამერჩია“, მაშინაც კი, როდესაც ქვეყანაში კრიზისი იყო და, რთული ეკონომიკური პირობების გამო, პედაგოგები სკოლებს ტოვებდნენ. წლების განმავლობაში, მიუხედავად უხელფასობისა, სკოლა ჩემთვის ის ადგილი იყო, სადაც პრობლემები მავიწყდებოდა და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მასწავლებლობა ჩემთვის ბედნიერებაა, ჩემი ცხოვრებაა, საყვარელი საქმეა.

იყო წარმატებული მასწავლებელი ადვილი არ არის. ყველა ადამიანი, განურჩევლად პროფესიისა, ავტორიტეტს თავისი ცხოვრების წესით მოიპოვებს. მასწავლებლის ადამიანური ღირსება, სულიერი და სამოქალაქო ფასეულობები მოსწავლეებისთვის მისაბაძი უნდა იყოს. მისი ქმედება დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეების ქცევაზე როგორც საკლასო ოთახში, ასევე მის გარეთ. მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალი უნდა იყოს, უყვარდეს ბავშვები, იყოს სამართლიანი და თანამედროვეობას ფეხაწყობილი.

საპასუხისმგებლო მისია – დაწყებითების პედაგოგი

დაწყებით კლასებში მასწავლებელს მართლაც განსაკუთრებული მისია აკისრია, რადგან, გეთანხმებით, სასკოლო ცხოვრების დასაწყისი ძალზე სათუთი და კეთილსასურველი პერიოდია იმისათვის, რომ ბავშვს სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება გამოუმუშავდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ნდობის ფაქტორს. თუ ბავშვი შენში მეგობარს ხედავს, სჯერა შენი, წარმატება, მცირედი დოზით მაინც, გარანტირებულია. მთავარია, მასწავლებელი მუდამ აქტიური, ხალისიანი და კრეატიული იყოს. ბავშვისთვის სკოლა „სიხარულის სახლი“ უნდა იყოს და სკოლისკენ უნდა მიუხაროდეს.

თანამედროვე თაობის თანამედროვე მოთხოვნები

თანამედროვე მოსწავლეები მასწავლებლისგან ითხოვენ, რომ ის იყოს მათი მეგობარი, ახლობელი. უხარიათ, როდესაც მათთან ერთად ცეკვავ, მღერი, თამაშობ, გულღია ხარ მათ მიმართ. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, როდესაც გაკვეთილებს შორის, დასვენებებზეც კი, ჩემთან ერთად ყოფნა უნდათ, სურთ აზრის გაზიარება ნებისმიერ თემაზე, რაღაც ახლის მოყოლა, რჩევის მიღება. მათ მონათხრობს ყურადღების გარეშე არასოდეს ვტოვებ. მათთვის მასწავლებლის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვცდილობ, მათი მრჩეველი, დამცველი, აღმზრდელი, მეგობარი ვიყო. მათთან ურთიერთობაში ძალიან მეხმარება იუმორი. ბავშვებს მოსწონთ სიახლე, მრავალფეროვნება, ყოველთვის მოგყვებიან და „შენთან ახლოს არიან“.

დამოკიდებულება არამოტივირებული მოსწავლეების მიმართ

ზოგადად, დასჯა, მასწავლებლის ყველაზე დიდი სისუსტის გამოხატულებაა. როდესაც მოსწავლე წესებს არღვევს, ან დავალება ხშირად არ მოაქვს, ან არ სწავლობს გაკვეთილს, ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის კონკრეტულ ქცევაზე და არა თავად მოსწავლეზე. კრიტიკული შენიშვნა დადებითი სიტყვებით უნდა ჩამოვაყალიბოთ, პირველ პირში. ნაცვლად იმისა – „ეს რა ჩაიდინე, რა ცუდად მოიქეცი!“, ვუთხრათ: „სიმართლე გითხრა, შენი საქციელი არ მომეწონა“. ცხადად გამოვხატოთ კრიტიკა, თავი ავარიდოთ ბრძანების ფორმას და შევეცადოთ, შენიშვნები პირდაპირი ურთიერთობისას, სხვების თანდასწრების გარეშე, გამოვთქვათ.

თანამედროვე ტექნოლოგიები – მიდგომები და სტრატეგიები

დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე არსებობა წარმოუდგენელია. კომპიუტერი ჩემს სასკოლო ცხოვრებაშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს. უკვე შვიდი წელია, კლასში აქტიურად ვიყენებ თანამედროვე ტექნოლოგიებს და შიდა საკლასო ქსელით, კომპიუტერების საშუალებით, ვუკავშირდებით ერთმანეთს მოსწავლეები და მასწავლებელი. მოსწავლეები, საგაკვეთილო თემების შესაბამისად, ტესტებს და სხვადასხვა სავარჯიშოებს ასრულებენ, შესაძლებლობის ფარგლებში, პრეზენტაციებს ამზადებენ, რისთვისაც სასურველ საძიებო საიტებს იყენებენ. ვაჩვენებ ფილმებსა და მულტფილმებს, შემდეგ კი თემის ირგვლივ ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ. ჩემს მოსწავლეებს წინ კიდევ ბევრი სიახლე ელით, ისინი ჯერ მხოლოდ მესამე კლასში არიან.

პროფესიული განვითარება

განათლების რეფორმა მოულოდნელი ტალღასავით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. მასწავლებლებმა დავიწყეთ ფიქრი იმაზე, როგორ ავუწყოთ სწავლებას ფეხი ისე, რომ აღვზარდოთ ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეები. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: *„თუ წუთისოფელს ერთი ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.* ჩვენც ავუწყვეთ ფეხი განათლების რეფორმას, რაშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი რესურსცენტრის მეშვეობით, დაგვეხმარა. აქტიურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებში, სემინარებში... პირადად მე, ტრენინგებზე მიღებული ცოდნა ძალიან დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში. წლევანდელი ზაფხული, ამ მიმართულებით, დატვირთული იქნება, რადგან სკოლაში, ახალი სახელმძღვანელოებისა და ახალი სასწავლო საგნის შემოსვლასთან დაკავშირებით, საინტერესო ტრენინგები გველოდება.

სახელმძღვანელოები

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, სასკოლო სახელმძღვანელოები ბევრჯერ გამოცვალეთ, დავემშვიდობეთ გაკვეთილის ახსნის, საშინაო და საკლასო დავალებების მიცემის ძველ სტილს. გაკვეთილები თანდათან უფრო „ცოცხალი“ და საინტერესო გახდა. შესაბამისად, სახელმძღვანელოებიც ამ პრინციპით იცვლებოდა და მასში მოცემული სავარჯიშოები უფრო მიმზიდველი, სახალისო ხდებოდა. წელს, სექტემბრიდან, დაწყებით საფეხურზე ახალ სახელმძღვანელოებს ველოდებით. იმედი მაქვს, უფრო დახვეწილი და საინტერესო სახელმძღვანელოებით მოგვიწევს სწავლება.

თავისუფალი დრო და სამომავლო გეგმები

დღის რეჟიმი იმდენად გადატვირთულია, რომ თავისუფალი დრო ნაკლებად მრჩება. თუმცა, მიყვარს წიგნების კითხვა, ინტელექტუალური თამაშების როგორც ყურება, ისე მონაწილეობა, კროსვორდების შევსება, სახალისო თავსატეხების გამოცნობა და საგანმანათლებლო-შემეცნებითი თამაშები. დიდ სიამოვნებას მანიჭებს ჩემს მოსწავლეებთან, კოლეგებთან ექსკურსიებსა და ლაშქრობებზე სიარული.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

საშოდელო გაკვეთილი

ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს შექმნა – ფარნავაზ მეფე და მისი ეპოქა

კლასი: მე-9
საგანი: საქართველოს ისტორია
სასწავლო მიზანი:
• მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციას ელინისტური ეპოქის ქართლში სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების თაობაზე;
• იმსჯელებენ ფარნავაზ მეფის როლზე ქართლის სამეფოს შექმნაში;
• გააანალიზებენ საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენას ქართლში სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესზე;
• იფიქრებენ ქართლში სახელმწიფოებრიობის დაარსების ალტერნატიულ ვარიანტებზე.
მედიაწიგნიერების მიზნები:
• მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
• სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
• სხვადასხვა მედიაფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.
განსავითარებელი უნარები:
• ისტორიული ეპოქის აღქმა და გაანალიზება;
• ისტორიული წყაროების შედარება;
• ანალიზის უნარი;
• არგუმენტირებული მსჯელობა;
• კრიტიკული აზროვნება;
• შემოქმედებითი უნარი;
• დისკუსიისა და განსხვავებული მოსაზრებების მოსმენის უნარი.
მთავარი კითხვა: როგორ ჩამოყალიბდა ქართლის სახელმწიფო?
საკვანძო სიტყვები: ელინისტური ეპოქა; დიადოხოსები; კონსოლიდაცია; არიან-ქართლი; სასპერები.
რესურსები: სახელმძღვანელო, დოკუმენტური მასალა „ქართლის ცხოვრებიდან“ და „მოქცევაი ქართლისაიდან“, ფარნავაზ მეფის ძეგლის ილუსტრაცია, რუკა, ლეპტოპი და პროექტორი, ვიდეოსიუჟეტები გრაკლიანის გორის აღმოჩენისა და დიდნაურის არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

აქტივობა 1. გონებრივი იერიში

მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის თემას და მიზნებს, ვუხსნი, რა აქტივობები უნდა გამოვიყენოთ მიზნის მისაღწევად, ვაცნობ ასევე შეფასების (თვითშეფასების) რუბრიკას.

გაკვეთილს ვიწყებ გონებრივი იერიშით. მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ, **რა იციან ელინისტური პერიოდის შესახებ**. სავარაუდოდ, მოსწავლეები მპასუხობენ:

• აღნიშნული ხანა დადგა ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდგომ, როცა მისი სახელმწიფო მთავარსარდლებს – დიადოხოსებს შორის იქნა გაყოფილი, ზოგიერთ მოსწავლეს გაახსენდება რომელიმე ელინისტური სახელმწიფოს სახელი, ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება ელინიზმისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანიც გაიხსენოს: დასავლური – ბერძნულ-მაკედონური და აღმოსავლური ტრადიციებისა და კულტურული თავისებურებების შერწყმა.

აქტივობა 2. მოსწავლეებს ვთავაზობ, გაეცნონ ტექსტს სახელმძღვანელოდან და იმუშაონ სქემაზე:

ვიცოდი	გავიგე	მინდა ვიცოდე

აქტივობა 3. რუკაზე მუშაობა

მოსწავლეებს ვთხოვ რუკაზე მუშაობას. ისინი რუკაზე ნახულობენ საქართველოს ტერიტორიის მეზობლად მდებარე ელინისტური პერიოდის სახელმწიფოებს, გამოთქვამენ ვარაუდებს, რომელი ელინისტური სამეფოების ინტერესებში იქნებოდა ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის არმქონე, ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორიების საკუთარ გავლენის სფეროდ გადაქცევა (სავარაუდოდ, ეს სახელმწიფოები იყო სელევკიდური სირია და პონტოს სამეფო).

აქტივობა 4. მოსწავლეებს ვთხოვ, წყვილებში იმუშაონ და გაეცნონ სახელმძღვანელოში მოტანილ ისტორიულ წყაროებს – მედიარესურსებს, რომლებიც წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებიდან“ და „მოქცევაი ქართლისაიდან“, ამოღებული ფრაგმენტების სახით. წყაროები ეხება ისტორიულ პიროვნებას – აზოს, მის მოღვაწეობას და წარმომავლობას. შემდეგ კი მოსწავლეებს ვთხოვ, შეადარონ ერთმანეთს მოცემული ისტორიული დოკუმენტები, მონახონ მათში მსგავსი და განსხვავებული ინფორმაცია, უპასუხონ კითხვებზე:

რა მსგავს ინფორმაციას გვაწვდიან წყაროები?	მათში მოცემულია ინფორმაცია ქართლის სამეფოს შექმნის შესახებ, ორივე მათგანი ეხება აზოს მიერ ქართლის დაპყრობას. ორივე წყარო აზოს იბერიაში შემოყვანას ალექსანდრე მაკედონელის სახელს უკავშირებს.
რა განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან წყაროები?	განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან წყაროები აზოს წარმომავლობის შესახებ. „მოქცევაი ქართლისაი“ აზოს ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს და მას არიან-ქართლის მეფის ძედ მიიჩნევს. აღნიშნული წყარო ასევე საუბრობს აზოს მიერ არიან-ქართლიდან მცხეთაში საკუთარი ახლობლებისა და ნათესავების ჩამოყვანისა და ქართლში ახალი კერპების – გაცისა და გას დამკვიდრების თაობაზე.
რომელი წყარო მიაჩნიათ უფრო სარწმუნოდ?	აქ მოსწავლეთა აზრი იყოფა, თუმცა უმრავლესობას უფრო სარწმუნოდ „მოქცევაი ქართლისაიდან“ ინფორმაცია მიაჩნია.

აქტივობა 5. მოსწავლეებს ვახსენებ აქემენიდური ირანის ძლიერების ხანას, როცა ქართული ტომები ირანის მე-18 და მე-19 სატრაპიების შემადგენლობაში შედიოდნენ. ვთხოვ, იფიქრონ საქართველოს რომელი ტერიტორია შეიძლებოდა ყოფილიყო წყაროში მოხსენიებული „არიან-ქართლი“? (სავარაუდოდ, ეს იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი). შემდეგ კი ვუსვამ ღია კითხვას:

როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში სახელმწიფოს შექმნის ფაქტს?

სავარაუდოდ, პასუხებში გამოჩნდება, რომ სახელმწიფოებრიობის შექმნა ნიშნავს საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას, ვიდრე ტომთა კავშირების პირობებში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს წესრიგს და ქმნის კანონმდებლობას, მას ფუნქციონირებისათვის სჭირდება დამწერლობის, მმართველობის სისტემის, ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბება, ჯარის, საბაჟო სისტემის და სხვა ელემენტების არსებობა.

აქტივობა 6. მოსწავლეებს ვთავაზობ, განხილული წყაროების მიხედვით განსაზღვრონ, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოებრიობის ნიშნები აზოს დროინდელ ქართლს?

მოსწავლეები, სავარაუდოდ, მპასუხობენ, რომ აზომ ქვეყანას დაუწესა საზღვრები (ჰერეთი, ეგრისწყალი, სომხეთი, ცროლის მთა), შექმნა სახელმწიფო აპარატი, ჰყავდა ჯარი, ჰქონდა ოფიციალური რელიგია და სხვ.

აქტივობა 7. მოსწავლეებს მოკლედ ვესაუბრები მცხეთის მამასახლისის, სამარას ძმისშვილის, ანუ მემკვიდრის – ფარნავაზის მიერ, სელევკიდური სირიის დახმარებით, აზოს დამარცხებისა და ქართლის სამეფოს ტახტზე ასვლის შესახებ. შემდეგ ვუსვამ კითხვას:

რას უნდა ნიშნავდეს ფარნავაზისათვის სელევკიდური სირიის მეფის მიერ სამეფო ნიშნების გამოგზავნის ფაქტი?

სავარაუდო პასუხი – აღნიშნული ფაქტი მიგვითითებს ახლად შექმნილი ქართლის სამეფოს სელევკიდების გავლენის სფეროში მოქცევის შესახებ.

აქტივობა 8. შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობ სახელმძღვანელოში არსებულ მედიარესურსს – მეფე ფარნავაზის ქანდაკების ილუსტრაციას, სადაც ჩანს, რომ ფარნავაზს ხელთ უპყრია ეტრატი. მოსწავლეებს ვეკითხები – **რას უნდა მიანიშნებდეს ეტრატი? რისი გამოხატვა სურდა მოქანდაკეს?**

მოსწავლეები ხვდებიან, რომ ეტრატი ასოცირდება მწიგნობრობასთან, დამწერლობის შემოღებასთან, რაც სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

აქტივობა 9. მოსწავლეებს ვთხოვ, იმსჯელონ მედიარესურსში – სახელმძღვანელოს ტექსტში მოთხრობილ ფარნავაზ მეფის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე და წყვილებში შეავსონ სქემა:

ფარნავაზის რეფორმები	მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში
ადმინისტრაციული მოწყობა	ფარნავაზმა ქართლის სამეფო 8 საერისთავოდ დაყო. ერისთავი იყო როგორც ჯარის (ერის) მეთაური, ასევე სამოხელეო-ადმინისტრაციული თანამდებობაც. ერისთავების ზედამხედველად მან სპასპეტი დააყენა. ერისთავთა ხელქვეითებად განაჩინა სპასალარები და ათასისთავები. ყველა ამათგან იკრიბებოდა სამეფო და საერისთავო ხარკი. აღნიშნულმა რეფორმამ უფრო მოქნილი გახადა სახელმწიფოს მართვა, ამავე დროს, დადგინდა ქვეყნის ფინანსური საფუძველი.
რელიგიური რეფორმა	ომის ღმერთის – არმაზის მთავარ ღვთაებად გამოცხადება ხელს შეუწყობდა ერთი მთავარი ღმერთის რწმენის ქვეშ ქართლის სამეფოს მოსახლეობის კონსოლიდაციას, თუმცა ფარნავაზმა აზოს მიერ იბერიაში შემოყვანილი გაცი და გაემის კულტიც დატოვა.
სახელმწიფო ენის შემოღება	ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული, რაც, ფაქტობრივად, ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას ნიშნავს. როგორც ჩანს, ამ რეფორმის შემდეგ, სხვა (უცხო) ენაზე, გარდა ქართულისა, მოსახლეობა აღარ საუბრობდა.
დამწერლობა	ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა, ანუ დამწერლობა ქართული. თუმცა, მოსწავლეთა ნაწილის აზრით, ვინაიდან დამწერლობის არსებობა სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილია, ქართული დამწერლობა შესაძლოა რაიმე ფორმით უფრო ძველ პერიოდშიც არსებობდა. მოსწავლეები იხსენებენ ადრეულ ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს – დიაოხს და კოლხას. მოსწავლეთა ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლებელია, ფარნავაზმა ქართული დამწერლობა, რომელიც ქურუმთა პრეროგატივა იყო, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო მოხმარებაში შემოიტანა ან დახვეწა და ცვლილებები შეიტანა არსებულ ანბანში. ფაქტია, რომ ქართველი ერი ფარნავაზის დროიდან წიგნიერი ერი ხდება, ორიგინალური ქართული დამწერლობა გამოიყენებოდა საქმის წარმოებასა თუ რელიგიურ სფეროში, სავარაუდოდ, მას გამოიყენებდნენ ასევე კანონშემოქმედებით საქმიანობასა და ლიტერატურულ შემოქმედებაშიც.

აქტივობა 10. მოსწავლეები გამოიყენებენ კიდევ ერთ მედიარესურსს – ფარნავაზის დროინდელ რუკას და ვთხოვ იმსჯელონ:
1. მის მიერ დაარსებული სახელმწიფოს საზღვრების შესახებ;
2. ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ.

აქტივობა 11. მოსწავლეებს, გაეცვნენ რა აზოსა და ფარნავაზის ღვაწლს ქართლის სამეფოს შექმნის საქმეში, ვუსვამ სადისკუსიო კითხვას:

როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება ჩაითვალოს ქართლის პირველ მეფედ – აზო თუ ფარნავაზი? პასუხი დაასაბუთეთ.

მოსწავლეთა უმრავლესობა, როგორც წესი, მხარს უჭერს რეფორმატორ ფარნავაზს, თუმცა აზოსაც გამოუჩნდებიან გულშემატკივრები. მათ გაიხსენეს, რომ აზომ ქართლს დაუდგინა საზღვრები. მის დროინდელ ქართლს სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები ჰქონდა.

აქტივობა 12. დისკუსიის გამართვის შემდეგ, მოსწავლეებს ვესაუბრები ისტორიაზე, როგორც „არაზუსტ“ მეცნიერებაზე, რომელიც ხშირად სიურპრიზებს გვთავაზობს, რომლის დასკვნებს ხშირად ცვალებადი და განახლებადი ხასიათი აქვს და პერიოდულად, ახალი აღმოჩენებისა და გამოკვლევების საფუძველზე, ისტორიული დასკვნების გადაფასება ხდება. ამ საქმეში დაგვეხმარება მედიაწიგნიერება, როგორც გზამკვლევი და ორიენტირი ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში. მოცემული რეპლიკის შემდეგ, ლეპტოპისა და პროექტორის გამოყენებით, მოსწავლეებს ვუჩვენებ ორ პატარა ვიდეოსიუჟეტს, რომელიც გამოგვადგება გაკვეთილზე, როგორც მედიარესურსი. ეს ვიდეოები ეხება:
1. აღმოსავლეთ საქართველოში (ყოფილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე), შირაქში, დიდნაურის ველზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, ქალაქის (სავარაუდოდ, ქალაქი-სახელმწიფო იქნებოდა) ან რომელიღაც უცნობი სახელმწიფოს დედაქალაქის აღმოჩენას:

სამოდელო გაკვეთილი

https://youtu.be/3atXCumv5Wk (დიდნაურზე, დახლოებით, 2-წუთიანი ვიდეო).

2. მეორე ვიდეოსიუჟეტი კი მოგვითხრობს შიდა ქართლში, კასპთან ახლოს (სადაც სასპასპეტო მდებარეობდა), გრაკლიანის გორაზე, წარმართული ტაძრის საკურთხევლის კედელზე დამწერლობის ნიმუშის აღმოჩენის შესახებ. აღნიშნული დამწერლობა აშშ-ს კვლევითმა ლაბორატორიამ ძვ.წ. XI-X საუკუნეებით დაათარიღა: https://youtu.be/D8GmND0spso (გრაკლიანზე ვიდეოს ქრონომეტრაჟი: 00-დან 1.20 წუთამდე).

აქტივობა 13. ვიდეოსიუჟეტების ნახვის შემდეგ, მოსწავლეებს ვთხოვ გაიაზრონ და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ქართლში სახელმწიფოს შექმნის პრობლემასთან დაკავშირებით. ვთავაზობ, უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

კითხვა	პასუხი
ა) რა შეიცვალა თქვენს წარმოდგენებში ქართლში სახელმწიფოებრიობის არსებობასთან დაკავშირებით ვიდეოსიუჟეტების ნახვის შემდგომ?	
ბ) რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ქართლში, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს, ანუ ფარნავაზის ეპოქამდე 800-700 წლით ადრე, სახელმწიფოებრიობის არსებობის შესაძლებლობა?	
გ) რომელი სახელმწიფოს ნაწილი შეიძლება ყოფილიყო დიდნაურის ველზე აღმოჩენილი ნამარხი ქალაქი?	
დ) სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი რა ნიშნები დაინახეთ ვიდეოსიუჟეტებში?	
ე) თქვენი აზრით, რა მიზეზების გამო შეიძლებოდა გამქრალიყო არქეოლოგთა მიერ დიდნაურში აღმოჩენილი ქალაქი, რომელიც ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლო პერიოდით თარიღდება?	
ვ) რა მნიშვნელობა აქვს გრაკლიანის გორაზე დამწერლობის ფაქტის აღმოჩენას? რამდენად ცვლის ეს არქეოლოგიური აღმოჩენა მსოფლიო ისტორიას ან იმ წარმოდგენას, რომ მსოფლიოში პირველი ასოითი დამწერლობის (ანბანის) შემქმნელები იყვნენ ფინიკიელები?	

აქტივობა 14. გაკვეთილის ბოლოს ვამყარებ უკუკავშირს, მოსწავლეებს ვეკითხები, მათ მიერ გაკვეთილის დასაწყისში, ტექსტზე მუშაობისას შექმნილი სქემის – „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“ მიხედვით, რა აღმოჩნდა მათთვის ნაცნობი. ასევე ვინტერესდები იმით, თუ რა ისწავლეს ახალ ტექსტზე მუშაობისას და მედიარესურსების გაანალიზების შედეგად, როგორ შეიცვალა მათი წარმოდგენა ქართლის სამეფოს შექმნასთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც ვიდეომასალა გააანალიზეს? რამ დააინტერესათ ან რის გაგებას ისურვებდნენ ისინი მომდევნო გაკვეთილებზე, მოცემულ თემასთან დაკავშირებით?

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ვთავაზობ, ზემოთ აღნიშნული დასკვნების საფუძველზე, მოახდინონ თვითშეფასება ორი კრიტერიუმის მიხედვით: „რა ვიცოდი“ და „რა ვისწავლე“.

რა ვიცოდი	რა გავიგე ამ გაკვეთილით

საშინაო დავალება – მოსწავლეებს ვთხოვ, მოიძიონ მასალები ქართლის სამეფოს შემქმნელი ქართული ტომების ვინაობისა და წარმომავლობის შესახებ, გაარკვიონ ტერმინის „იბერი“ წარმომავლობა და სასპერთა ვინაობა.

ნანა ირემაშვილი
თბილისის აკადემიკოს ი. ვეკუას სახ.
ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის მზადება

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებზე წარსადგენად, წრთვნები დაიწყეს. საქართველო 2018 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს ხუთ დისციპლინაში (მათემატიკა IMO, ფიზიკა IPHO, ინფორმატიკა IOI, ბიოლოგია IBO და ქიმია IChO) წარადგენს.

ორკვირიან მომზადების კურსს გადის ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები, რომლის წევრები – **ჯონი გვაზავა** (აბაშის №1 საჯარო სკოლა), **ბაჩუკი დალაქიშვილი** („თამარიონი“), **საბა ბირკაძე** (კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა) და **ანა თოიძე** (მეექვსე საავტორო სკოლა) ბიოლოგიის 29-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე მიემგზავრებიან, რომელიც 15-22 ივლისს, ირანში, თეირანში გაიმართება.

ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, 2018 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგებისა და შესარჩევი ტურების შედეგად შეირჩნენ, ხოლო ინფორმატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდი, სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგად დაკომპლექტდა.

შუალედური შედეგების პრეზენტაცია

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, UNICEF-ის და ესტონეთის მთავრობის ერთობლივი პროგრამის შუალედური შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, აქამდე განხორციელებული სამუშაოების შედეგების გაცნობა, შეფასება, მოსაზრებების გაზიარება და მომავალი სამოქმედო გეგმის განხილვა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ისეთი წარმატებული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და დახმარება, როგორიც ესტონეთია.

2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, UNICEF-მა და ესტონეთის მთავრობამ, ერთობლივი სამწლიანი პროგრამა დაიწყეს, რომლის მიზანია საქართველოს თხუთმეტ სამოდელო სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობა და სახელმწიფო უნივერსიტეტებში მომავალი მასწავლებლების მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო კურსების შექმნა. პროგრამის ფარგლებში, ქართველ სპეციალისტებს ტექნიკურ დახმარებას ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდ „ინოვეს“ (INNOVE) ექსპერტები უწევენ.

თანამშრომლობის შედეგად: განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა და 2018 წლის 3 იანვარს დამტკიცდა დარგობრივი მახასიათებლები; შესაბამისად, სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, პროგრამული აკრედიტაციის მისაღებად, განათლების ხარისხის მართვის ეროვნულ ცენტრში მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამები წარადგინეს; დაწყებითი (1-6 კლასები) და საბაზო საფეხურებისთვის (7-9 კლასები), მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა დამტკიცდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ პრეზენტაციას მინისტრის მოადგილე, **ალექსანდრე თევზაძე**, საქართველოში ესტონეთის საელჩოს, სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლები და თბილისის პარტნიორი სკოლების დირექტორები და მასწავლებლები ესწრებოდნენ.

თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **მიხეილ ჩხენკელი** და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN) „ატლასისა“ და CMS-ის ექსპერიმენტების ხელმძღვანელობას შეხვდნენ.

მსოფლიო მასშტაბის ცენტრთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, მხარეებმა მემორანდუმის გაფორმების შესაძლებლობაზე იმსჯელეს, რაც ქართველ მეცნიერებს კვლევით პროექტებში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, შეთანხმდნენ, რომ მომავალში „ატლასისა“ და CMS-ის ექსპერიმენტებში უფრო მეტი ქართველი მაგისტრანტი და დოქტორანტი ჩაერთვება.

შეხვედრაზე მიხეილ ჩხენკელმა საქართველოში სამეცნიერო ინფრასტრუქტურის კუთხით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. განმარტა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება და როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ასევე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს (მათ შორის კვლევით ცენტრებს) შესაძლებლობა მიეცემათ, სრულყოფილად ჩაერთონ CERN-ის ექსპერიმენტებში.

შეხვედრის ბოლოს, რომელსაც ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი **ვიქტორ დოლიძეც** ესწრებოდა, მიხეილ ჩხენკელმა და მარიამ ჯაშმა „ატლასისა“ და CMS-ის ხელმძღვანელებს, ქართველი მეცნიერების მხარდაჭერისთვის, მადლობა გადაუხადეს და იმედი გამოთქვეს, რომ CERN-ში საქართველოს ასოცირებული წევრობის სამომავლო პერსპექტივაზე საუბარი პოზიტიურ შედეგს გამოიღებს.

ინოვაციური სწავლების კვირეული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, პროფესიულ განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინოვაციური მიდგომით სწავლების პოპულარიზებისთვის, კვირეული იმართება.

„პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლების კვირეული“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, ინოვაციურ ლაბორატორიებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, **ქეთევან ნატრიაშვილი** და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, **ავთანდილ კასრაძე** ესწრებოდნენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების („სპექტრი“, „მერმისი“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“, „მოდუსი“) სტუდენტების ინოვაციური ნამუშევრები. კვირეულის ფარგლებში, ყოველდღიურად, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მოეწყობა თემატური აქტივობები და გავრცელდება ინფორმაცია სისტემაში არსებული სერვისების შესახებ. სახელმწიფო კოლეჯებთან ერთად, კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ: ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს უნივერსიტეტი, Startup Factory და კომპანია Future Laboratory.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲨᲘᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

TƏLIM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRI

266. Montesorun tədris prinsiplərinin mahiyyəti nədən ibarətdir?

✓ **Şagirdin yanaşmaları və təşəbbüsü.** Müxtəlif çətinliklərdən və fərqli materiallardan şagird özü, öz təşəbbüsü ilə tapşırığı seçir. Tapşırıqlar elə təşkil edilmişdir ki, onu vizual və ya şifahi işarələr mütləq müşayiət edir ki, bu da uşağa qərarın düzgünlüyünü özü yoxlamaq, səhvi tapmaq və düzəlişlər etmək imkanını verir;

✓ **problemin həllinə yönəlmiş tədris.** Dərs planı ilə elə bir tapşırıqlar nəzərə alınmışdır ki, bunlar həll yolunun əldə edilməsini və ya problemin həlli üçün başqa materialın istifadəsini tələb edir;

✓ **sensortədris**dərs prosesində elə bir materialların istifadəsini nəzərdə tutur ki, bunlara da şagird tərəfindən nəinki görmə və eşitmə hissləri və qavramanın, eləcə də təmas, əzələlərin və vətərlərin, qoxulama hisslərinin istifadəsi tələb olunur. Xüsusilə də 3-dən 6 yaşına qədər;

✓ **hərəkət azadlığı.** Montesorun sinif məkanı elə təşkil edilmişdir ki, uşaqlar tapşırıq üçün lazımi materialı seçdiklərində, qrup fəallıqları üçün sərbəst şəkildə hərəkət edə bilsinlər. 3-6 yaşında uşaqlar üçün sinif məkanı daha açıqdır və əsas fəallıqlar xalçada həyata keçirilirlər.

267. Maslouya əsasən, davranışı müəyyən edən nədir?

Maslounun nəzəriyyəsinə əsasən, insanın davranışını tələbatı müəyyən edir. Qeyd etmək lazımdır ki, Maslou anadangəlmə (bioloji) və qazanılmış (sosial və şəxsi) tələbatları ayırır.

268 Maslounun tələbatlarının iyerarxiyalı modeli necədir?

Maslou qeyd edirdi ki, insanların beş əsas şəkildə tələbatı vardır – fizioloji, təhlükəsizlik, sevgi və aidiyyat, qiymətləndirmə, özünügerçəkləşdirmə. İnsan öz tələbatlarını bu iyerarxiyada verilən ardıcıllıqla qarşılayır.



Maslounun tələbatlarının piramidası

269. Maslounun piramidasının birinci pilləsinin tələbatı necədir – fizioloji?

Fizioloji tələbat – fiziki yaşama ilə bağlı olan tələbatlardan ibarətdir (məs. qida, su, oksigen, sığınacaq, yuxu, istilik). Bundan sonra onun başqa tələbatları yaranır.

270. Maslou piramidasının ikinci pilləsinin tələbatı necədir – təhlükəsizliyin?

Təhlükəsizliyin tələbatı sabitlik və təhlükəsizlik hissinin qarşılanması tələbatıdır.

271. Maslou piramidasının üçüncü pilləsinin tələbatı necədir?

Aidiyyat və sevgi tələbatı sevmək və sevilmək tələbatıdır; qrupa aid olmaq və ona üzv kimi qəbul edilmək tələbatı; təklikdən və təcrid olunmadan uzaq olma tələbatı.

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

სწავლის და განვითარების თეორია

266. როგორია მონტესორის სწავლების პრინციპების არსი?

✓ **მოსწავლის დამოუკიდებლობა და ინიციატივა.** სხვადასხვა სირთულის დავალებებიდან და განსხვავებული მასალებიდან მოსწავლე თვითონ, თავისი ინიციატივით ირჩევს დავალებას. დავალებები ისეა აგებული, რომ აუცილებლად ახლავს თან ვიზუალური ან სიტყვიერი მინიშნებები, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, თვითონ შეამოწმოს გადაწყვეტის სისწორე, იპოვოს შეცდომა და გაასწოროს;

✓ **პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სწავლება**. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტის გზის პოვნას ან სხვა მასალის გამოყენებას პრობლემის გადასაწყვეტად;

✓ **სენსორული სწავლება** გულისხმობს სასწავლო პროცესში ისეთი მასალების გამოყენებას, რომლებსაც სჭირდება მოსწავლის მხრიდან არა მხოლოდ მხედველობითი და სმენითი შეგრძნებებისა და აღქმის გამოყენება, არამედ შეხების, კუნთების და მყესების, ყნოსვის შეგრძნებებისაც. განსაკუთრებით 3-დან 6 წლამდე ასაკში;

✓ **მოძრაობის თავისუფლება**. მონტესორის კლასის სივრცე ისეა ორგანიზებული, რომ ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა დავალების არჩევისას, დავალებისათვის საჭირო მასალების შესარჩევად, ჯგუფური აქტივობებისათვის. 3-6 წლის ბავშვებისათვის საკლასო სივრცე უფრო ღიაა და ძირითადი აქტივობები ხალიჩაზე ხორციელდება.

267. მასლოუს მიხედვით, რა განსაზღვრავს ქცევას?

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევას მოთხოვნილება განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ მასლოუ განასხვავებს თანდაყოლილ (ბიოლოგიურ) და შეძენილ (სოციალურ და პიროვნულ) მოთხოვნილებებს.

268 როგორია მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი?

მასლოუ აღნიშნავდა, რომ ადამიანებს აქვთ ხუთი ძირითადი სახის მოთხოვნილება – ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სიყვარულის და მიკუთვნებულობის, დაფასების, თვითრეალიზაციის. ადამიანი მოთხოვნილებებს ამ იერარქიაში მოცემული თანმიმდევრობით იკმაყოფილებს.



მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდა

269. როგორია მასლოუს პირამიდის პირველი საფეხურის მოთხოვნილება – ფიზიოლოგიური?

ფიზიოლოგიური მოთხოვნილება მოიცავს ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც ფიზიკურ გადარჩენასთან არის დაკავშირებული (მაგ. საკვები, წყალი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო). ამის შემდეგ უჩნდება მას სხვა მოთხოვნილებები.

270. როგორია მასლოუს პირამიდის მეორე საფეხურის მოთხოვნილება – უსაფრთხოების?

უსაფრთხოების მოთხოვნილება ესაა სტაბილურობის და უსაფრთხოების შეგრძნება, როცა დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილება.

271. როგორია მასლოუს პირამიდის მესამე საფეხურის მოთხოვნილება?

მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება ესაა მოთხოვნილება გიყვარდეს და უყვარდე; მოთხოვნილება იმისა, რომ ეკუთვნოდე და მიგიღონ ჯგუფის წევრად; მოთხოვნილება იმისა, რომ თავი აარიდო მარტოობას და გარიყვას.

მომზადდა ასოციაცია „ზეკართან“ თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

Կարևոր հարցեր պատասխաններով

ՈՒՍԱՆՄԱՆ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

266. Ինչպիսի՞ն է Մոնթեսորի ուսուցման սկզբունքների էությունը:

✓ **Աշակերտի ինքնուրույնությունը և նախաձեռնությունը**: Տարբեր բարդության առաջադրանքներից և տարբեր նյութերից աշակերտն ինքը, իր նախաձեռնությամբ է ընտրում առաջադրանքը: Առաջադրանքներն այնպես են կառուցված, որ նրանց անպայման կցված են տեսանելի կամ բառային ցուցումներ, ինչը երեխային հնարավորություն է տալիս ինքը ստուգի լուծման ճշտությունը, գտնի սխալը և ուղղի:

✓ **Խնդրի լուծմանը միտված ուսուցում**. Ուսումնական պլանով նախատեսված են այնպիսի առաջադրանքներ, որոնք պահանջում են լուծման ուղի գտնել կամ այլ նյութ կիրառել խնդրի լուծման համար:

✓ **Մենսորային ուսուցումը** ենթադրում է ուսումնական գործընթացում այնպիսի նյութերի կիրառում, որոնց անհրաժեշտ է աշակերտի կողմից ոչ միայն տեսողական և լսողական զգայությունների և ընկալման կիրառում, այլև շոշափելիքի, մկանների և ջլերի, հոտառության զգայությունների: Առանձնապես 3-ից մինչև 6 տարեկան հասակում:

✓ **Շարժման ազատություն**: Մոնթեսորի դասարանի տարածքն այնպես է կազմակերպված, որ երեխաները կարող են ազատ տեղաշարժվել առաջադրանք ընտրելիս: Առաջադրանքի համար անհրաժեշտ նյութեր ընտրելու, խմբային ակտիվությունների համար: 3-6 տարեկան երեխաների համար դասարանական տարածքն ավելի բաց է և հիմնական ակտիվությունները գորգի վրա են իրականացվում:

267. Ըստ Մասլոուի, ի՞նչն է սահմանում մարդու վարքը:

Մասլոուի տեսության համաձայն, մարդու վարքը սահմանում է պահանջմունքը: Ուշագրավ է, որ Մասլոուն տարբերակում է բնածին (կենսաբանական) և ձեռքբերովի (սոցիալական և անձնային) պահանջմունքներ:

268 Ինչպիսի՞ն է Մասլոուի պահանջմունքների ստորակարգային մոդելը:

Մասլոուն նշում էր, որ մարդիկ ունեն հինգ հիմնական տիպի պահանջմունք՝ ֆիզիոլոգիական, անվտանգության, սիրո և պատկանելության, գնահատման, ինքնահիրացման: Մարդ պահանջմունքները բավարարում է այս ստորակարգության մեջ տրված հաջորդականությամբ:



Մասլոուի պահանջմունքների բուրգը՝

269. Ինչպիսի՞ն է Մասլոուի բուրգի առաջին աստիճանի պահանջմունքը՝ ֆիզիոլոգիականը:

Ֆիզիոլոգիական է պահանջմունքը, որը ներառում է այնպիսի պահանջմունքներ, որոնք ֆիզիկական գոյատևման հետ են կապված գ (օրինակ՝ սնունդ, ջուր, թթվածին, ապաստան, քուն, ջերմություն): Դրանից հետո նրա մոտ առաջանում են մյուս պահանջմունքները:

270. Ինչպիսի՞ն է Մասլոուի բուրգի երկրորդ աստիճանի պահանջմունքը՝ անվտանգության:

Անվտանգության պահանջմունքը կայունության և անվտանգության զգացողության պահանջմունքն է, երբ բավարարված է անվտանգության պահանջմունքը:

271. Ինչպիսի՞ն է Մասլոուի բուրգի երրորդ աստիճանի պահանջմունքը:

Պատկանելության և սիրո պահանջմունքը դա պահանջմունքն է սիրես և սիրվես, պահանջմունքը նրա, որ պատկանես խմբին և քեզ ընդունեն որպես խմբի անդամ: Պահանջմունք նրա, որ խուսափես մենակությունից և դուրս մղված լինելուց:

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

თვალსაზრისი

ცვლილებების პროექტზე „მაღალი ლეგიტიმაციის მქონე მანდატურის „გამოყვანის“ გამო“

რა შეიცვლება მანდატურის სამსახურში, რას სთავაზობს კანონპროექტი სკოლებს, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით – ამ და სხვა საკითხებზე იმსჯელეს „ქორთიარდ მერიოტში“ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნათია მეზვრიშვილი** უძღვებოდნენ.

მე შევეცადე ცვლილებების პროექტის მხოლოდ ერთი წინადადების ორ ფრაზას გამოვხმაურებოდი: 1. რა შეიცვლება მანდატურის სამსახურში? 2. რას სთავაზობს კანონპროექტი სკოლებს, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით?

მინისტრების შეხვედრა, კანონპროექტის შედგენაზე, სკოლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მეტად სამარცხვინოდ ჟღერს. ეს არ არის ისეთი უსაფრთხოება, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იგულისხმება. აქ რეფორმამდე ჯერ არ ნანახ და ჯერ არ გაგონილ ისეთ უსაფრთხოებაზეა მსჯელობა, რომელიც იწყება მოსწავლეებს შორის ინციდენტით, კონფლიქტით; გრძელდება ქუჩური გარჩევებით, სკოლის გარე პერიმეტრზე წინასწარ დათქმული დროისა და ადგილის მითითებით; მთავრდება დაზიანებებით, დასახიჩრებებით და მკვლელობებით.

აღნიშნული სახის უსაფრთხოება, მეტნაკლებად, ყოველთვის იყო უზრუნველყოფილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სკოლების არსებობის ისტორიის განმავლობაში. სკოლების უსაფრთხოება დაცული იყო როგორც ხელისუფლების მხრიდან კონტროლის, ისე უკონტროლობის დროსაც. უსაფრთხოება დაცული იყო მაშინაც, როცა ქვეყანას ქურდები და ყაჩაღები მართავდნენ; დაცული იყო ომის პერიოდშიც; ომსაც აქვს თავისი კანონები, რომლის მიხედვით მტერიც კი იცავს სკოლების უსაფრთხოებას. მაშასადამე, სკოლის უსაფრთხოება დაცულია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისაგან, დაცულია სხვა ქვეყნის მოქალაქეებისაგან, დაცულია მტრისგანაც. მაშ, ვისგან გვჭირდება სკოლების უსაფრთხოების დაცვა? რა ცვლილებების პროექტზე იმსჯელეს მინისტრებმა? რატომ არ მონაწილეობდნენ ამ განხილვებში პირველი პირები? ალბათ შერცხვათ, რადგან: სადაც სწავლება, აღზრდა და განათლებაა, იქ სკოლის უსაფრთხოებაზე და მანდატურის სამსახურის არსებობაზე მსჯელობა შეუთავსებადია.

რეფორმა 2015 წელს უნდა დამთავრებულიყო, უკვე 2018 წელია და დასაწყისზე უარესი მდგომარეობაა. მაღალი იდეების ნაცვლად, მინისტრებს მსჯელობა უხდებათ იმის თაობაზე, თუ რა უნდა შეიცვალოს მანდატურის სამსახურში, რა უნდა შესთავაზოს კანონპროექტმა სკოლებს, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ალბათ პირველი პირი წინასწარ ხვდება, რომ შეხვედრა ისეთივე უშედეგო იქნება, როგორიც იყო დიდი იმედების მომცემი სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების შემოღება და „ძველი“ მანდატურის სამსახურის არსებობა სკოლებში. „ახალი“ მანდატური, „ძველი“ მანდატურის მსგავსად, დროის გაყვანის კიდევ ერთი მცდელობა იქნება.

16 მაისს „ახალ განათლებაში“ **მიხეილ ჩხენკელმა**, აი, რა განაცხადა: *„ის სიღრმისეული პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს განათლების სისტემაში, კერძოდ, ბულინგთან ან აგრესიასთან დაკავშირებული საკითხები, სკოლაში მხოლოდ მანდატურის სამსახურის ჩარევით და ძალისმიერი მეთოდებით ვერ გადაწყდება. „ფსიქოლოგების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია და ჩვენი მიზანია, ყველა სკოლას ჰყავდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგი.“*

მე-2 პირი სკოლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას მაღალი ლეგიტიმაციის მქონე მანდატურის სამსახურის საშუალებით ამყარებს. პირველი პირი ამბობს, რომ პრობლემა მხოლოდ მანდატურის სამსახურის ჩარევით და ძალისმიერი მეთოდებით ვერ გადაწყდება. მისი აზრით, ფსიქოლოგების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი მიზანია, რომ ყველა სკოლას ჰყავდეს მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ფსიქოლოგი.

როგორც ჩანს, პირველმა პირმა არ იცის რას აკეთებს მეორე პირი და პირიქით, ან ორივე გვატყუებს, ან ორივე დროის გაყვანითაა დაკავებული. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2085 სკოლაა. დღეს არსებული საუნივერსიტეტო განათლების ტემპის მიხედვით, ყველა სკოლას რომ ჰყავდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგი, ამ პროცესს, დღეიდან, 67 წელზე მეტი დასჭირდება – 2085 წლისთვის მიიღწევა. მინისტრი, ალბათ, ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ვერ მოესწრება.

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ სკოლას უსაფრთხოების დაცვა სჭირდება საკუთარი მოსწავლეებისგან. მიზეზი ერთადერთია – თორმეტწლიანი სასკოლო სწავლების შემოღება. მანამდე მსგავსი ვითარება სკოლების არსებობის ისტორიას არ ახსოვს.

„რა შეიცვლება მანდატურის სამსახურში?“ – სანამ მინისტრები მანდატურის სამსახურში ცვლილებებს შეიტანენ, მანამდე მანდატურის სამსახურზე და მანდატურზე მოგახსენებთ. ტერმინი „მანდატური“, რეფორმის დაწყებამდე, თერთმეტ-თორმეტწლიანი სწავლების შემოღებამდე, არც ქართულ სასაუბრო ენაში და არც მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში არ არსებობდა. სწავლა-აღზრდასა და განათლებასთან მანდატურის სამსახურის არსებობა ანომალიაა. ამიტომაც სრული კრახი განიცადა. ამაზე მეტყველებს კვლევის შედეგებიც. დღეისათვის, დაწყებული რიგითი ადამიანებიდან, პრეზიდენტამდე ყველა განათლების სისტემის გაუარესებაზე საუბრობს. შესაძლოა არც პირველს და არც უკანასკნელს დავუჯეროთ, მაგრამ შუალედურ რგოლს – პროფესორ-მასწავლებლებს, ყველაზე კომპეტენტურ და ობიექტურ შემფასებლებს, დაეჯერებათ. ისინი, დიდი რისკის ფასად, მაგრამ მაინც დაუფარავად ამბობენ, რომ თავიდან დათვლითი, თვლის რიცხვებიდან უწევთ სწავლების დაწყება.

ახალ კანონპროექტს მივუბრუნდეთ – რა ცვლილებები შეიტანეს მინისტრებმა ახალი მანდატურის სამსახურში? სულ ოთხი ძირითადი საკითხი შეიძლება გამოვყოთ: 1. მანდატურს დანიშნავს არა სკოლის დირექტორი, არამედ მანდატურის სამსახური; 2. მანდატურის სამსახურის უფროსს ნიშნავს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; 3. მანდატურად დაინიშნება უმაღლესი განათლების მქონე პირი და სამსახურში მიღების ასაკიც 21 წლამდე აიწევს; 4. მანდატურს ექნება მოზარდის შეყოვნების და მშობლებისათვის და სამართალდარღვევების შემთხვევაში – პოლიციისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება.

პირველი სამი საკითხი შეიძლება ხავსს ჩაჭიდებულ წყალწაღებულს შევადაროთ. მეოთხე საკითხი: მანდატურს ექნება მოზარდის „შეყოვნების“ უფლება. შეყოვნება ლამაზმანი სიტყვაა. რა იგულისხმება შეყოვნებაში? ალბათ შეჩერება, დაჭერა, დაკავება. მანდატური კი ამას ვერ შეძლებს. რომც შეძლოს, სკოლას უნდა ჰქონდეს რკინის გისოსებიანი ოთახი. „სამართალდამრღვევი“ მარტო აღარაა. მას ჰყავს პოტენციური „სამართალდამრღვევთა“ ჯგუფი. ადვილი შესაძლებელია, თავად მანდატური აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა. მანდატურს რჩება ერთადერთი გამოსავალი, დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციას. სანამ პოლიციელი სკოლაში მივა, მანამდე „დამნაშავე“ მოზარდი დანაშაულსაც ჩაიდენს და ცხრა მთას იქით აღმოჩნდება. „ახალი“ მანდატური, „ძველი“ მანდატურის მსგავსად, მხოლოდ და მხოლოდ დროის გაყვანაა.

ნობელის პრემიის ლაურეატს, ფრედერიკო ჟოლიო-კიურის აქვს ასეთი გამონათქვამი: „რაც უფრო შორდება ექსპერიმენტი თეორიას, მით უფრო უახლოვდება ნობელის პრემიას“. 18-წლიანი ექსპერიმენტი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ვაღიაროთ 12-წლიანმა სასკოლო სწავლებამ კრახი განიცადა. 12-წლიანმა სწავლებამ, სხვადასხვა მიმართულებით მრავალი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

ინტელექტუალური მიმართულებით:

- სწავლება, აღზრდა და განათლება – ერთიანი სისტემის კატასტროფულად დაბალი დონე;
- ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს 25 წლის ასაკში, ნაცვლად 21 წლისა. ოქროს 4 წელიწადს ვაკარგვინებთ სრულიად უაზროდ;
- რეფორმის დაწყებიდან 18 წელი გავიდა, მაგრამ ქართული დიპლომი ვერ მიუახლოვდა საერთაშორისო აღიარებას.

ეკონომიკური მიმართულებით:

- რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის, ეკონომიკურად და ინტელექტუალურად, გვეხმარება ხელისუფლება და განათლების სამინისტრო; გარდა ამისა, გვეხმარებიან ჩვენდამი კეთილგანწყობილი ქვეყნები, მრავალი სხვადასხვა ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, ევროსაბჭო, ევროგაერთიანება, აშშ და ა.შ. იხარჯება უზარმაზარი თანხები, შედეგი – ნული.

უსაფრთხოების მიმართულებით:

- სკოლების უსაფრთხოების მიზნით, 10 წელზე მეტია, არსებობს სასწავლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ისწავლება საგანი „სამოქალაქო განათლება“. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის 4 აპრილის „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებული ჯეოსტატის მონაცემებით, 2011 წლიდან 2018 წლამდე, დანაშაულის მსხვერპლის რიცხოვნებამ არასრულწლოვანებში 191-დან 657-მდე იმატა, რაც კატასტროფული შედეგია.

რეფორმის დაწყებიდან დღემდე მე-10 მინისტრი განაგებს განათლების სისტემას. თითოეული მინისტრი ხედავდა, ესმოდა და იცოდა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, მაგრამ არც ერთმა არ აღიარა რეალობა, გარდა მინისტრობის კანდიდატობის რანგში მყოფი, ბატონი **გიორგი მარგველაშვილისა**. მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ მანდატურის სამსახურის არსებობა სკოლებში ანომალიაა და დადო პირობა, რომ გადავიდოდა სწავლების 10-წლიან მოდელზე. თუმცა, უკვე მინისტრის რანგში, ამ მიმართულებით ნაბიჯები აღარ გადადგა.

იმედია, გამოჩნდება მინისტრი, რომელიც რეალობას სწორად შეაფასებს და სწორ გამოსავალს იპოვის.

დემურ კუხალეიშვილი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

ინფორმაცია

საზეიმო მიღება

გერმანიის საელჩომ, გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის ფინალისტებისა და გამარჯვებულებისთვის, საზეიმო მიღება გამართა.

გამარჯვებულებს და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს გერმანიის ელჩის მოადგილემ, დოქტორმა **პეტერ შალერმა**, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, **საშა ფაბრიმ**. ღონისძიების ფარგლებში, მიღების ოფიციალური ნაწილის შემდეგ, გერმანიის ელჩის მოადგილე გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებულებს, თბილისისა და საქართველოს რეგიონების სკოლების საუკეთესო მოსწავლეებს, პირადად შეხვდა და ესაუბრა ევროპულ გზაზე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში მომავალი თაობის როლზე, პერსპექტივებზე, ჩართულობასა და მნიშვნელობაზე.

გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეები, 15-28 ივლისს, ფრაიბურგში, საქართველოს სახელით, ღირსეულად წარდგებიან გერმანული ენის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, სადაც მსოფლიოს 5 კონტინენტის 60 ქვეყნის 100 მოსწავლეს გერმანული ენის ცოდნაში, ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარებში შეეჯიბრებიან.

გოეთეს ინსტიტუტმა და პროექტის პარტნიორმა „არვატო ბერთელსმანმა“ გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის 22 ფინალისტი მოსწავლე, თბილისისა და საქართველოს რეგიონების სკოლებიდან, გერმანულენოვანი საზაფხულო აკადემიის საგზურებით დააჯილდოვეს. 21-29 ივლისს, რუსთავში, სკაუტების საერთაშორისო ბანაკის მსვლელობისას, მოსწავლეები, ბერლინელი და ლაიფციგელი თეატრმცოდნეების ხელმძღვანელობით, საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე იმსჯელებენ: „რა სპეციალობას მინდა დავეუფლო სკოლის დასრულების შემდეგ“, „როგორ წარმომიდგენია იდეალური ქალაქი“, „როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ მეტ პოლიტიკურ ჩართულობასა და გადაწყვეტილებების სამართლიანი მიღების პროცესს“, „როგორ ვიპოვოთ ბალანსი ეკონომიკურ წინსვლასა და მდგრად განვითარებას შორის“.

გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

რევაზ თოფურია

მშობელთა კრება

აუტიზმის სპექტრის აშლილობების დამხმარე სერვისების განვითარება საქართველოში – არსებული გამოცდილება და მომავლის ხედვა

მაია გაბუნია
მედიცინის დოქტორი, ბავშვთა ნევროლოგი, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი

– აუტიზმის სპექტრის აშლილობების შესახებ საქართველოში, სულ რაღაც 10 წლის წინ, სპეციალისტებმაც კი ბევრი არაფერი იცოდნენ. თითქმის ყველას გვქონდა ნანახი ფილმი „წვიმის კაცი“ და ვფიქრობდით, რომ სწორედ ასეთი იყო აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანი. ამ პერიოდში, რამდენიმე ბავშვთა ნევროლოგი დავინტერესდით საკითხით და გადავწყვიტეთ, მოგვეძიებინა მეტი ინფორმაცია ამ მიმართულებით. გავეცანით ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების ექსპერტულ მოსაზრებებს. დავგეგმეთ და განვახორციელეთ საქართველოში აუტიზმის სპექტრის აშლილობების გავრცელების შესახებ პილოტური ეპიდემიოლოგიური კვლევა. კვლევის დიზაინში, ასევე, გამოვიყენეთ ამერიკის პედიატრიის აკადემიის პრაქტიკული რეკომენდაციები. საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, რომელსაც დღეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ეწოდება, გაგვიწია მხარდაჭერა და ეს კვლევა თბილისის სამ უბანში განვახორციელეთ. ამ კვლევის ფარგლებში, შევისწავლეთ 2000-ზე მეტი ბავშვი. საჭირო გახდა, შეგვეძინა და გვეთარგმნა აუტიზმის სკრინინგული და სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები. სწორედ იმ პერიოდიდან, 2008-09 წლიდან, დაიწყო ბავშვთა აუტიზმის დიაგნოსტიკა საქართველოში. დიაგნოსტიკური საშუალებების დანერგვას შედეგად მოჰყვა თერაპიული სერვისის განვითარება.

2010 წელს სოფიო კერესელიძემ პირველმა გახსნა აუტიზმის ცენტრი, სადაც აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვებს უტარდებოდათ ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპია. სწორედ ქალბატონმა სოფიომ შეძლო ამ სფეროს პროფესიონალების მოწვევა აშშ-დან, მათი დახმარებით მომზადდნენ პირველი ქართველი ქცევითი თერაპევტები.

2012 წელს, ნეიროგანვითარების ცენტრში, იმავე გუნდმა შევქმენით მენტალური ჯანმრთელობის დეპარტამენტი, სადაც ამუშავდა აუტიზმის დიაგნოსტიკისა და თერაპიის გუნდები. ამას მოჰყვა ახალი ცენტრების გაჩენა და ახალი სპეციალისტების მომზადება. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები: ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ჩეხეთის რესპუბლიკის „კარიტასი საქართველოში“ და სხვ. ამ ეტაპზე ჩვენი საქმიანობა წარმატებით გრძელდება მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში, რომელიც 2015 წლიდან ფუნქციონირებს, გვყავს დიაგნოსტიკისა და თერაპიის გუნდი, 2016 წელს გავხსენით ფილიალი ბათუმში.

დღეს თბილისში უკვე 3-4 ცენტრი არსებობს, სადაც შესაძლებელია დიაგნოსტიკის ჩატარება და 10-მდე ცენტრი, სადაც საჭიროების მქონე პირებს შეუძლიათ თერაპიული სერვისის მიღება. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში რამდენიმე რეგიონშიც შეიქმნა აუტიზმის ცენტრი, სადაც იქ მცხოვრები აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა თერაპიული სერვისი.

– როგორია ჩვენს ქვეყანაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, აუტიზმის სპექტრის აშლილობების მართვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები?

– უკანასკნელი წლების განმავლობაში გაუმჯობესდა დიაგნოსტიკური, სამკურნალო და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა როგორც თბილისში, ასევე ქვეყნის სხვა რეგიონებში. ამას ხელი შეუწყო საზოგადოების ინფორმირების ამაღლების მიზნით ჩატარებულმა აქტივობებმა. 2011 წლის 2 აპრილს, როდესაც პირველად აღვნიშნეთ აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღე, მხოლოდ ერთი მშობელი დაგვთანხმდა, რომ საჯაროდ გამოჩენილიყო და ესაუბრა ამ თემაზე. ამ მიმართულებით ვითარება ყოველწლიურად უმჯობესდება. გააქტიურდნენ თვითონ მშობლებიც. ისინი ეფექტურად იცავენ როგორც შვილების, ასევე საკუთარ უფლებებს, ითხოვენ მათთვის საჭირო როგორც სარეაბილიტაციო, ასევე საგანმანათლებლო და სხვა აუცილებელ სერვისებს.

რამდენიმე წლის წინ, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არც კი იღებდნენ, დღეს უკვე მსჯელობა ამ დაწესებულებებში ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფაზე გვაქვს. ასეთივე მდგომარეობაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს თითქმის აღარ ექმნებათ ბარიერები არც ბაღებში და არც სკოლებში მიღებაზე. დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგია ის, რომ აუტიზმის მქონე ბავშვები, სხვა თანატოლებთან ერთად, იღებენ როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო განათლებას. რა თქმა უნდა, მათ არ ხვდებათ სრულად ადაპტირებული გარემო, მაგრამ წინსვლა ამ მიმართულებით ნამდვილად არის.

2015 წლიდან თბილისის მერიამ დაიწყო აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში, 2-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებს უფასოდ მიეწოდებათ ქცევით გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული და მათთვის საჭირო სხვა სახის თერაპიული სერვისები. დაფინანსებული სერვისი სულ 20 საათია თვის განმავლობაში, რაც დიდი მხარდაჭერა და შეღავათია ამ ოჯახებისთვის. თბილისის მერიის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და სხვა მუნიციპალიტეტებმაც წამოიწყეს ამ ტიპის პროგრამის დაფინანსება. ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში უკვე მოქმედებს ეს პროგრამა. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომაც წელს დაიწყო აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა. ზოგადად, ეს სარეაბილიტაციო პროგრამა პილოტური იყო და გაამართლა. დღევანდელ ეტაპზე დგას პროგრამის გაუმჯობესების და თერაპიის ბავშვის საჭიროებებზე მორგების აუცილებლობა. გამოიკვეთა, რომ მოზარდებისათვის სხვა სპეციფიკური სერვისებია საჭირო. უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს მათი სოციალური უნარის განვითარებას და ჯგუფურ თერაპიას, რაც პროგრამაში გათვალისწინებული არ იყო.

მოგეხსენებათ, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზი ახალია, რამდენიმე შემთხვევის გარდა, ფაქტობრივად, არ გვყავს ამ დიაგნოზის მქონე ზრდასრული ადამიანები. ის პირველი ბავშვები, რომლებსაც დიაგნოზი დაესვათ, იზრდებიან, მათთან ერთად ჩვენც ვიძენთ გამოცდილებას და პროფესიულად ვიზრდებით. დიდი გამოცდილებაა დაგროვილი სკოლამდელი ასაკის აუტიზმის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკისა და მართვის მიმართულებით, რასაც ვერ ვიტყვი მოზარდებსა და ზრდასრულებზე. ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ რამდენი რამ გაკეთდა ამ მოკლე პერიოდში, შედეგები მართლაც შთამბეჭდავია.

– რა თავისებურებით გამოირჩევა აუტიზმის სპექტრის აშლილობების მართვის მასტიმულირებელი გარემოს ორგანიზების პროცესი?

– აუტიზმის სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვებს აქვთ სოციალური კომუნიკაციის და ქცევის პრობლემები. აუტიზმის არსებობის რისკის დადგენისთანავე უნდა დაიწყოს ბავშვისთვის სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე ზრუნვა. განსაკუთრებით აუცილებელია მშობლებთან და დედმამიშვილებთან ურთიერთობა, პირისპირ კონტაქტი, მათი განვითარების მასტიმულირებელი თამაშებით დაინტერესება და მათში ჩართვა. გარემო, სადაც ბავშვი იზრდება, არ უნდა იყოს ზედმეტად გადატვირთული სხვადასხვა ყურადღების გამფანტავი საგნებითა და ელექტროაპარატურით, მათ შორის ტელევიზორითა და კომპიუტერით.

გარდა სოციალური კომუნიკაციისა და ქცევის პრობლემებისა, აუტიზმის მქონე პირებს ხშირად აქვთ სენსორული (გრძნობის ორგანოებიდან მიღებული) ინფორმაციის გადამუშავების სირთულეები. ამიტომ გარემოს ადაპტირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ის, რაც ტიპური განვითარების ბავშვისთვის ადვილად დაძლევადია, აუტიზმის მქონე ბავშვისთვის სერიოზულ პრობლემად იქცევა ხოლმე. ავიღოთ თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა. ხმაური და გადაჭედილი ტრანსპორტი აუტიზმის მქონე ბავშვის ზედმეტ გაღიზიანებას იწვევს. გარემოს ცვლილებაც მისთვის რთული შესაგუებელია. ყველა ეს სპეციფიკა გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სახლში, ასევე ბაღსა თუ სკოლაში, სადაც ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს.

– რამდენადაა განვითარებული აუტიზმის სპექტრის აშლილობების დიაგნოსტირების პროცესი საქართველოში?

– 2009 წლიდან დაწყებული, საქართველოში, უკვე შესაძლებელია აუტიზმის სპექტრის აშლილობების დიაგნისტიკა. თბილისის რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში, მათ შორის მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში, არსებობს აუტიზმის მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის ხელმძღვანელია ექიმი ფსიქიატრი. ეს გუნდი აფასებს ბავშვის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სწავლობს პრობლემებს, სვამს დიაგნოზს და ადგენს საჭირო ჩარევის გეგმას ბავშვის, მისი ოჯახის საჭიროებებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაამტკიცა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი „აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა“. პროტოკოლი მომზადდა ჩეხეთის რესპუბლიკის „კარიტასი საქართველოში“ მხარდაჭერით. ამ სამუშაო ჯგუფის წევრი მეც ვიყავი. წელსვე ამ პროტოკოლის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობისთვის დაგეგმილია ტრენინგი 4 ქალაქში: თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში. ვიმედოვნებთ, რომ პროტოკოლის არსებობა და ტრენინგი კიდევ უფრო გააუმჯობესებს აუტიზმის სპექტრის მქონე პირების ამოცნობას და მართვას.

– როგორია კვლევები ჩვენთან და დასავლეთში ამ მიმართულებით?

– ძალიან ბევრი კვლევა ტარდება აუტიზმის შესახებ მთელ მსოფლიოში, რადგან ეს ნოზოლოგია ძალიან ახალია. არც რაიმე სამედიცინო ტესტი არსებობს, რომელიც აუტიზმის დიაგნოზის დადგენას სისხლის ანალიზით ან ნეიროვიზუალური კვლევით შეძლებდა. ასევე, სხვადასხვა მნიშვნელოვანი კითხვა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია, მათ შორის: რა იწვევს აუტიზმს? ნამდვილად უფრო ხშირად გვხვდება ბიჭებში, თუ გოგონები უკეთ ახერხებენ აუტიზმის ნიშნების შენიღბვას და ამიტომ გართულებულია ამოცნობა? როგორ შეიძლება მაქსიმალურად ადრეულ ასაკში ამოცნობა? რა შეიძლება იყოს მართვის საუკეთესო გამოსავალი? შესაძლებელია აუტიზმის დიაგნოზის მოხსნა? რა შეიძლება იყოს აუტიზმის რისკ-ფაქტორები? როგორია აუტიზმის მედიკამენტური და არამედიკამენტური თერაპია? როგორია აუტიზმის ნიშნები ზრდასრულებში? – კითხვების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია.

საერთაშორისო დონის ექსპერტები და მეცნიერები მუშაობენ აუტიზმის სპექტრის აშლილობებზე ამერიკაში, ევროპაში, იაპონიაში. ბევრი მეცნიერი და ინსტიტუტი ცდილობს, დაადგინოს აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამომწვევი მიზეზი, პრევენციული თუ სამკურნალო საშუალებები და განკურნების გზები. ამჟამად არსებული მდგომარეობა ბევრად უფრო საიმედოა, ვიდრე 10 ან 20 წლის წინათ, როდესაც არანაირი საიმედო პროგნოზები არ იყო. დღევანდელ ეტაპ-

მშობელთა კრება

ზე, ამ დარგის პროგრესი თვალსაჩინოა და მასში ჩართულები არიან მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები. მაგალითად, აშშ-ში, მხოლოდ ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში, აუტიზმის სპექტრის აშლილობების კვლევაზე, ყოველწლიურად, 100 მილიონ დოლარზე მეტი იხარჯება.

სამწუხაროდ, საქართველოში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა განსხვავებულია. 2009 წელს ჩატარდა პილოტური ეპიდემიოლოგიური კვლევა და მისი შედეგები ოფიციალურად არც გამოქვეყნებულა. სხვა უფრო მნიშვნელოვანი კვლევა არ ჩატარებულა. ამჯერად ვგეგმავთ ეპიდემიოლოგიურ კვლევას იმის დასაზუსტებლად, თუ როგორია აუტიზმის გავრცელება საქართველოში, განსხვავდება თუ არა ჩვენი მონაცემები სხვა ქვეყნებისგან. თუ არ გვექნება ასეთი მონაცემები, რთულია გაიწეროს აუტიზმის სპექტრის აშლილობების მართვისა და პრევენციის სამოქმედო გეგმა. დასადგენია, რამდენი და რა სპეციალობის პროფესიონალია საჭირო. ასევე რა სერვისების განვითარებაა საჭირო იმისათვის, რომ აუტიზმის მქონე ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იყოს სადიაგნოსტიკო და თერაპიული სერვისები.

– როგორია სერვისის განვითარება დღევანდელ ეტაპზე და რა ნაბიჯებია გადასადგმელი სამომავლოდ მისი ეფექტური განვითარებისათვის?

– წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია აუტიზმის სპექტრის აშლილობების სადიაგნოსტიკო „ოქროს სტანდარტის“ არსებობა, თუმცა ის ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში. სასურველია მისი გავრცელება რეგიონებშიც, თუნდაც მხოლოდ რეგიონულ ცენტრებში.

თერაპიის მიმართულებით, ყველაზე პოპულარულია ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპია, რომლის ეფექტურობაც მეცნიერულად დადასტურებულია. ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქვს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა. შვიდ წლამდე ასაკის ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია ადრეული ინტერვენციის სპეციალისტის, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების თერაპევტის, ფიზიკური ან ოკუპაციური თერაპევტის ან სხვა სპეციალისტის მომსახურება შინ ან ადრეული ინტერვენციის ცენტრში. ასეთი ცენტრები არსებობს თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ჩხოროწყუში, ზუგდიდსა და ლაგოდეხში.

ბოლო პერიოდში, ზოგიერთ ცენტრში დაიწყო ე.წ. „ფლორთაიმის“ მეთოდის დანერგვა, რომელიც ქცევის გამოყენებითი ანალიზისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომაა. აუცილებელია არსებობდეს სხვადასხვა მიდგომები, რადგან ყველა ბავშვი უნიკალურია და ყველასთვის ერთნაირი მიდგომა არ შეიძლება იყოს ეფექტური. ამავე დროს, სხვადასხვა ასაკში აქტუალური ხდება განსხვავებული ტიპის პრობლემის მოგვარება, მაგალითად, მოზარდობის ასაკში შესაძლებელია გამოვლინდეს შფოთვა, დეპრესია ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემა, რაც სპეციფიკურ დახმარებას მოითხოვს. განსხვავებული სერვისია აუტიზმის მქონე პირის პროფესიული მომზადება, სოციალური თუ სხვა უნარების სწავლება. ასევე მნიშვნელოვანია ბავშვობიდან ზრდასრულების სერვისებში გადასვლაც უმტკივნეულოდ და თანმიმდევრულად მოხდეს. საჭიროა შეიქმნას ახალი სერვისები და მოხდეს ამ სერვისების გავრცელება რეგიონებში. იმედია ეს პროცესი იმავე ტემპით გაგრძელდება, როგორც დაიწყო.

– რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, რომლებიც მსგავსი სირთულის წინაშე დგანან?

– ყველა ბავშვი განსაკუთრებულია და განვითარების თავისი ტემპი აქვს. ზოგიერთ ბავშვს ესაჭიროება განვითარებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს ორგანიზება, რომლის უზრუნველყოფა კარგად ინფორმირებულ მშობელსაც შეუძლია, ზოგს კი აუცილებლად სპეციალისტის დახმარება ესაჭიროება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლის ინფორმირება, რადგან მშობლებმა ყველაზე კარგად იციან საკუთარი შვილის უნარები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. რაც უფრო კარგად ერკვევა მშობელი ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებში,

მით უფრო ადრეულ ეტაპზე შეძლებს ეჭვი მიიტანოს განვითარების შეფერხებაზე და მიმართოს სპეციალისტს დახმარებისთვის. ადრეულ ეტაპზე დაწყებული მკურნალობა კი მნიშვნელოვნად ზრდის საუკეთესო გამოსავლის მიღწევის შანსს. პირველივე ეჭვის გაჩენისთანავე, მშობელმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სპეციალისტს, ბავშვის შეფასებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ჩარევის დაგეგმვისათვის.

სასურველია მშობლებმა მოიძიონ ინფორმაცია თავის საცხოვრებელ ქალაქსა თუ რაიონში არსებული შესაბამისი მომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია მაქსიმალურად ადრეულ ასაკში ჩართონ ბავშვი ადრეული განვითარების ან აუტიზმის პროგრამაში. თუ პროგრამაში ადგილები შეზღუდულია და უწევთ ლოდინი, ჩაეწერონ მომლოდინეთა სიაში და, შეძლებისდაგვარად, დროულად დაიწყონ თერაპია სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე. ასევე, მათ უნდა მოიძიონ ინფორმაცია აუტიზმის შესახებ, გაიგონ რაც შეიძლება მეტი, მათ შორის, მოიძიონ მშობელთა ორგანიზაციები, სადაც გამოცდილი მშობლები გაუზიარებენ თავის გამოცდილებას და მისცემენ რჩევებს. მშობელმა უნდა ირწმუნოს საკუთარი შვილის პოტენციალი. ინტერვენციით ყველა ბავშვი იღებს სარგებელს. ყველას მდგომარეობა უმჯობესდება და აღწევს მნიშვნელოვან პროგრესს.

geopsychologt.org

პედაგოგთა დასახმარებლად

Geogebra – პროგრამის გამოყენება კვადრატული ფუნქციის აგებისას

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური განვითარების შეუქცევადმა პროცესმა საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა – დღესდღეობით ამა თუ იმ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა პრაქტიკულად წარმოუდგენელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების გარეშე. ინფორმაციული ტექნოლოგიები შედარებით ახალი დარგია, რომელიც უკავშირდება მათემატიკას, საინჟინრო საქმესა და ენათმეცნიერებას.

თანამედროვე საანგარიშო მანქანების ისტორია XVII საუკუნიდან იწყება. ამ დროს ბევრი ცნობილი მათემატიკოსი ქმნიდა ტექნიკურ საანგარიშო აპარატებს, მათ შორის იყვნენ: პასკალი, ლაიბნიცი, ნეპერი და სხვები. განსაკუთრებით საინტერესოა პირველი გამომთვლელი მანქანა. მისი ძირითადი პრინციპები და მექანიზმები გამოყენებულია თანამედროვე არითმომეტრში. დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ პირველი ასეთი მანქანა, 1642 წელს, ფრანგმა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა, ბლეზ პასკალმა ააგო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მთვლელი მოწყობილობა გერმანელ მათემატიკოსს, პროფესორ ვილჰემ შიკარდს აუგია (http://gzashemecnebisaken.narod.ru/leonardo_da_vinchi.htm), დაახლოებით, 1623 წელს.

კომპიუტერი თანამედროვე ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში გამოიყენება. შესაბამისად, შეიქმნა პროგრამები, რომლებიც ამარტივებს და საინტერესოს ხდის მათემატიკის სწავლებას.

ავსტრიელმა მათემატიკოსმა და პროფესორმა, **მარკუს ჰოჰენვარტერმა** შექმნა მათემატიკური სწავლების პროგრამული უზრუნველყოფა – GeoGebra, რომელმაც მრავალი ევროპული და ამერიკული ჯილდო მიიღო. GeoGebra ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება გეომეტრიის, ალგებრის, კალკულუსის სწავლება-სწავლაში.

მათემატიკაში ფუნქციის სწავლებისას, საწყის ეტაპზე, სირთულეს ქმნის გრაფიკის აგება. მასალის უკეთ გასაგებად და მოტივაციის ასამაღლებლად, კარგი იქნება, თუ გამოვიყენებთ პროგრამას GeoGebra. ამ პროგრამის ჩატვირთვა და გამოყენება შესაძლებელია როგორც კომპიუტერის საშუალებით, აგრეთვე ტელეფონითაც. ამიტომაც, საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენება ძალზე მოსახერხებელია. მინდა გაჩვენოთ, თუ როგორ ავაგოთ კვადრატული ფუნქცია ამ პროგრამის საშუალებით.

როგორც ვიცით, კვადრატული ფუნქციის გრაფიკი პარაბოლაა. მისი ზოგადი ჩანაწერია $f(x) = ax^2 + bx + c$. ახლა ვნახოთ, როგორ უნდა ავაგოთ გრაფიკი და როგორ არის დამოკიდებული მისი ცვლილებები a, b და c კოეფიციენტებზე.

ინსტრუმენტების ველში ავირჩიოთ, საკოორდინატო ბადეში დაკლიკვით, გამოვა ფანჯარა:



Name – განვსაზღვრავთ a, b ან c პარამეტრის დასახელებას.

Interval: min და max – ჩავწერთ საიდან სადამდე შეიძლება მიიღოს მნიშვნელობები a-მ, b-მ ან c-მ.



(საკოორდინატო ბადეზე თითოეული მნიშვნელობისთვის ცალ-ცალკე უნდა დავსვათ წერტილი და შევუსაბამოთ მნიშვნელობები.)

a-ს ცვლილება განსაზღვრავს პარაბოლას შტოების გაჭიმვას ორდინატთა ან აბცისათა ღერძის გასწვრივ, თუ a სრიალას ვამოძრავებთ, ამ ცვლილებებს თვალნათლივ დავინახავთ საკოორდინატო სიბრტყეზე. როცა a >1, მაშინ შტოები მაღლაა მიმართული და გაიჭიმება oy ღერძის გასწვრივ აბცისათა ღერძიდან, შტოები შეიკუმშება ორდინატთა ღერძის გასწვრივ აბცისათა ღერძისკენ, როცა a < 0 ზე შტოები იქნება დაბლა მიმართული და, შესაბამისად, გაიჭიმება ან შეიკუმშება oy ღერძის გასწვრივ.

c განსაზღვრავს გრაფიკის y ღერძთან გადაკვეთის წერტილს, მაგ.: როცა c = 2 ფუნქციის გრაფიკი გადის (0,2) წერტილში, ხოლო როცა c = -2 y ღერძს გადაკვეთს -2 წერტილში. თუ b-ს მივანიჭებთ მნიშვნელობას 0-ს, მაშინ პარაბოლას წვეროს y_0 კოორდინატი დაემთხვევა c-ს მნიშვნელობას და იქნება (0,c).



ფუნქციის გრაფიკის ასაგებად, input ველში შევიყვანოთ y = ax ^2 + bx + c სახით (როდესაც გვინდა x^2 ჩავწეროთ, საჭიროა x-ის შემდეგ ^ სიმბოლოს ჩასმა კლავიატურიდან (ანუ ხარისხში აიყვანს) და შემდეგ დავუწერთ 2-ს).

Algebra ველში $y = x^2 + bx + c$ დაჭერით გამოვიძახებთ კონტექსტურ მენიუს, საიდანაც შეგვიძლია შევცვალოთ ჩანაწერის ფორმა (თუ ავირჩევთ ჩანაწერის ამ ფორმას $y = a(x-h)^2 + k$, მაშინ h და k იქნება წვეროს კოორდინატები (h, k), ხოლო object Propertise-დან შეგვიძლია პარამეტრების ცვლილება და პარაბოლას გაფორმება.

თუ გვინდა გავარკვიოთ, სად ღებულობს გრაფიკი მაქსიმალურ ან მინიმალურ (ექსტრემუმის წერტილები) მნიშვნელობას, ავირჩიოთ ინსტრუმენტების ველიდან, ხოლო ჩამონათვალში ავირჩოთ. გრაფიკზე დავაკლიკებთ 

და მარცხენა მხარეს დაიწერება ამ წერტილის კოორდინატები (კვადრატული ფუნქციის შემთხვევაში, ექსტრემუმის წერტილი წვეროს კოორდინატებია).

საკოორდინატო სიბრტყეში მოძრაობა და გადაადგილება შესაძლებელია, თუ ინსტრუმენტების ველში ავირჩევთ.



GeoGebra საშუალებას იძლევა, შეიქმნას დასმული ამოცანების გადაწყვეტის დინამიკური და ვიზუალურად ეფექტური მოდელი. ასევე, მოსწავლეს საშუალება ეძლევა, პროგრამულ გარემოში და პროგრამული გარემოს გარეთაც, წარმოადგინოს შედეგის გრაფიკული ფორმა.

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიები ყოველდღიურად იხვეწება. მოსწავლეები დღის გარკვეულ ნაწილს, ცნობილია, რომ კომპიუტერებთან ატარებენ. მათი დაინტერესება ზუსტი საგნებით მასწავლებლისთვის გამოწვევაა. ახალი პროგრამები საოცარ ინტერესს იწვევს მოსწავლეებში, მასწავლებელს კი ახსნის პროცესში ეხმარება.

ამდენად, აღნიშნული პროგრამის გამოყენება მეტად ეფექტურია სწავლების პროცესში, აადვილების ინფორმაციის ვიზუალურად აღქმასა და დასმული ამოცანის ეფექტურად ამოხსნას.

ვფიქრობთ, აღნიშნული სტატია მასწავლებლებს გაუადვილებს GeoGebra-პროგრამის მოხმარებას, დაეხმარება ეფექტურად გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში.

თამარ თვალჭრელიძე
თბილისის №16 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
https://www.geogebra.org/materials/

საზაფხულო ბანაკი — 2018

აქტიური დასვენების შესაძლებლობა

ლალი თვალაბეიშვილი

საზაფხულო ბანაკების სეზონი გაიხსნა. წელს 10 000-მდე მოზარდსა და ახალგაზრდას მიეცემა შესაძლებლობა, არდადეგები საინტერესოდ და აქტიურად გაატაროს. ამასთანავე, საზაფხულო ბანაკები უფასოდ დასვენების შესაძლებლობაა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სიღარიბის იმ ფონზე, ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულმა იუნისეფის კვლევამ რომ გვიჩვენა. დამსვენებლებს რამდენიმე ბანაკი მიიღებს: მომავლის ბანაკი – ანაკლია; შაორი; სამთო-სათხილამურო სპორტის ბანაკი – ბაკურიანი; სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკი – მანავი; რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკი – ქუთაისი; ევროპული სკოლის საზაფხულო ბანაკი – 2018 საქართველო, რომელსაც ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ევროკავშირთან ერთად, ახორციელებს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თეიმურაზ მურღულია** და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **გიგა გაბელაია** საზაფხულო ბანაკების შესახებ გვესაუბრებიან.

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მეცნიერება ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამიტომ, ამ ბანაკებშიც შემეცნებისა და მეცნიერების სრულიად ახალი მიმართულებები გვექნება, მაგალითად, ერთ-ერთია რობოტექნიკა. დღეს არავისთვის გასაკვირი არ არის, რომ ეს მიმართულება ძალიან აქტუალურია. გვინდა, ჩვენი ახალგაზრდები ეზიარონ რობოტექნიკას და, ზოგადად, ინჟინერინგის მიმართულებებს. ბანაკში, რომელშიც ამ მიმართულებით აქტიური ბავშვები მოხვდებიან, უაღრესად საინტერესო აქტივობები იქნება. დარწმუნებული ვარ, როდესაც ისინი სახლებში დაბრუნდებიან, ისევ მოუნდებათ არა მარტო ბანაკში დაბრუნება, არამედ პერმანენტულად ამ სივრცეში – რობოტექნიქსის სივრცეში მუშაობა და კარიერის ამ მიმართულებასთან დაკავშირება.“ – ამბობს თეიმურაზ მურღულია.

ყველა ბანაკს განსხვავებული დატვირთვა აქვს შინაარსობრივად, დამსვენებელთა ასაკობრივი ჯგუფებიც სხვადასხვაა და შერჩევის პრინციპიც განსხვავებულია. ანაკლიის შემთხვევაში, ეს არის 14-18 წლის მოზარდებზე გათვლილი ბანაკი. პირველი ნაკადის მიღება დაიწყო და 12 სექტემბრამდე გაგრძელდება, მთელი ზაფხულის განმავლობაში, ბანაკი 3000-მდე მოსწავლეს უმასპინძლებს.

გიგა გაბელაია აღნიშნავს, რომ ანაკლიის ბანაკში გამორჩეული ბავშვები ხვდებიან, ვინც წარჩინებით ისწავლა წლის განმავლობაში, ასევე, ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და კიდევ სხვადასხვა სტრუქტურის თანამშრომლების შვილები, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპული ან დასახიჩრებული მებრძოლების შვილები; იუსტიციის სამინისტროს პრევენციის წარმომადგენლები, ვისაც ოჯახში გარკვეული სირთულეები აქვთ და ა.შ.

უკვე ცნობილია იმ 3000 ბავშვის ვინაობა, ვინც ანაკლიაში დაისვენებს. თუ სკოლაში რამდენიმე წარჩინებული მოსწავლეა, უპირატესობა ენიჭება სოციალურად დაუცველს, იძულებით გადაადგილებულს და სხვ. ეს კრიტერიუმები ერთ-ერთი განმსაზღვრელია ანაკლიის ბანაკში მოსახვედრად.

მანავის სპორტულ ბანაკში დამსვენებელთა ასაკი უფრო დაბალია – 12 წლიდან. აქ, ძირითადად, მცირეკონტინგენტიანი სკოლების მოსწავლეები ხვდებიან, ვისაც არ აქვს დასასვენებლად წასვლის საშუალება ა.შ.

ევროპული სკოლის საზაფხულო ბანაკის შემთხვევა გამორჩეულია. მნიშვნელოვანია, რომ ბანაკი ხორციელდება ევროკავშირის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით. ამ შემთხვევაში, ქართველ მოსწავლეებთან ერთად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მათი თანატოლებიც მონაწილეობენ. ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მოზარდებში ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით ინტერესის გაღვიძება, რაც დღეს ასე აქტუალურია.

„ევროპული სკოლა უშუალოდ ევროკავშირის ჩართულობით შექმნილი ინსტიტუციაა და, პრაქტიკულად, ჩვენ, ევროასოცირების ფარგლებში, ვიწყებთ იმ ახალგაზრდების მომზადებას, რომლებსაც ახლო მომავალში შეეძლებათ ევროკავშირის სტრუქტურებში დაიკავონ თანამდებობები. ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი, დღეს, ფაქტობრივად, ბანაკიდან იწყება, შემდეგ გაგრძელდება სკოლაში და იმ დროს, როცა ეს ახალგაზრდები სკოლას დაამთავრებენ, ჩვენი სტატუსი ევროკავშირში უკვე ადეკვატური იქნება იმისათვის, რომ მათ ევროკავშირში იმუშაონ. ევროპული სკოლის ბანაკიც იმიტომ ჰქვია, რომ აქედან მოსწავლეები სწავლას ევროპულ სკოლაში აგრძელებენ.

ბანაკი ინტეგრაციის პირველი ნაბიჯია, როდესაც ქართველი და უცხოელი ახალგაზრდები გაიცნობენ ერთმანეთს, გაუზიარებენ გამოცდილებას და მოემზადებიან იმისთვის, რომ ამ სკოლაში ერთად ისწავლონ. ჩვენი ევროპული სკოლისთვის ორი წელი გარდამავალი ეტაპი იქნება, შემდეგ უკვე ახალი შენობით, ახალი ინფრასტრუქტურით და სრულიად ახალი კონტინგენტით შეუდგება ფართომასშტაბიან მუშაობას. ჩვენ მომავალ ევროჩინოვნიკებს მოვამზადებთ.“ – ასეთი ამბიციური განაცხადით დაასრულა თეიმურაზ მურღულიამ ევროპულ სკოლაზე საუბარი.

მოსწავლეებისთვის ბანაკებში შერჩევის პროცესი, ძირითადად, გაზაფხულზე მიმდინარეობს, რაც შეეხება სტუდენტებს, როგორც გიგა გაბელაია ამბობს, მათ ამ ეტაპზეც აქვთ დარეგისტრირების შესაძლებლობა. *„ახლა გამოცხადდება შაორის ბანაკში მიღება სტუდენტებისთვის, დაიდება აპლიკაცია და ყველა მსურველს ვთავაზობთ მონაწილეობას“.*

„ბანაკში თუ არ ხარ ნამყოფი, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი რამ დაგიკარგავს, – ამბობს თეიმურაზ მურღულია და დასძენს – *მნიშვნელოვანია, ყველას ვუთხრათ, რომ ასე არ არის, თითქოს ბანაკებში მხოლოდ ისინი ხვდებიან, ვინც დაიმსახურა. ძალიან ბევრმა დაიმსახურა, მაგრამ წელს 10 000 ბავშვის მიღება შეგვიძლია, მომდევნო წელს რაოდენობას გავზრდით და შევეცდებით, ყოველწლიურად, უფრო და უფრო მეტმა მოსწავლემ დაისვენოს უფასოდ. თუ ვინმე არ მოხვდა ამ ბანაკში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დაიმსახურა, მაგრამ ვინც მოხვდა, მან ნამდვილად დაიმსახურა.*

სწავლა არა მარტო ბანაკში მოხვედრისთვისაა მნიშვნელოვანი, ჩვენ განათლებაზე ორიენტირებულ ეკონომიკას ვაშენებთ და ამ ეკონომიკაში თვითრეალიზაციას, ღირსეული ადგილის დამკვიდრებას აუცილებლად სჭირდება სათანადო განათლება.“

ალბათ რთულია იმ ადამიანების შერჩევა, ვინც ბავშვებს უხელმძღვანელებენ, ე.წ. ლიდერების. მათ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. როგორ ხდება მათი შერჩევა და რა მომზადებას გადიან? მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ *„ამ პროცესის დეტალები არ ხმაურდება, რადგან ვცდილობთ, დაინტერესებული პირი არ იყოს ინფორმირებული ყველა იმ ფილტრზე, რომლის გავლაც მოუწევს.“*

როგორც გიგა გაბელაია აღნიშნავს, ლიდერების გადარჩევის პროცესი რამდენიმეეტაპიანი იყო: პირველი ეტაპი – დოკუმენტალური ნაწილი, აპლიკაციების მიღება; მეორე – თეორიული, როდესაც სწავლება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში მიმდინარეობდა; მესამე ეტაპი – პრაქტიკული ნაწილი. გადარჩევის ეტაპების მიხედვით, ლიდერობის 200-მდე კანდიდატი შეირჩა, ვინც პრაქტიკულად გაიარა მეცადინეობა. *„ამ კანდიდატებიდან კიდევ მოხდა გამოხშირვა. მოთხოვნები მკაცრია, სტანდარტების შესაბამისად გაწერილი, როგორც პრაქტიკული მიმართულება, ასევე სასწავლო ნაწილიც. მომზადების პროცესი ძალიან საინტერესოა, ბევრ ახალგაზრდას ეძლევა არა მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობა, ეს ერთგვარი წამახალისებელი ფორმაა მათთვის, ვინც ლიდერად მოდის სამუშაოდ.*

კარგი შესაძლებლობაა ახალგაზრდისთვის, ვისაც უნდა ზაფხულობით წაიმუშაოს და საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს. წლის განმავლობაში, ჩვენს ბანაკებში, ლიდერად დაახლოებით 300 ახალგაზრდა იმუშავებს.

ლიდერების ასაკობრივი კრიტერიუმი განსაზღვრულია – 18-დან 22 წლამდე, 24-კაციან ჯგუფზე ორი ლიდერი მუშაობს, სქესთა ბალანსის დაცვით, ჯგუფშიც სქესთა ბალანსი დაცულია – 12 გოგონა და 12 ვაჟი და თითოეულს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, ლიდერი, რომელიც მთელი ბანაკის განმავლობაში მათთან ერთადაა.“

საზაფხულო ბანაკების სეზონი გაიხსნა. იმ 10 000-მდე მოსწავლისთვის, ვინც ზაფხულში ბანაკში დაისვენებს, იქ გატარებული დღეები კარგი ცხოვრებისეული გამოცდილებაც იქნება და საინტერესო თავგადასავალიც.

სპორტი

ჭიდაობაში მოსწავლეებმაც გვასახელეს

უნგრულ დიორში, 15-17 ივნისს, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი სკოლის მოსწავლეთა შორის, რომელშიც საქართველოდან ბიჭების ორივე ნაკრები გამოვიდა, მათთან ერთად კი ორი გოგონაც ჭიდაობდა.

უნგრეთში ჩვენი ბიჭები დიდი წარმატებით გამოვიდნენ. განსაკუთრებით – ბერძენ-რომაელები, რომლებმაც 8 მედალი მოიპოვეს, ერთ წონაში კი – 57 კილოგრამში სულაც ქართული ფინალი გაიმართა. **ხვიჩა ბიჩინაშვილის** შეგირდებმა 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო მოიპოვეს. ისინი გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავიდნენ რუსეთის შემდეგ.

ქართულ ფინალში ერთმანეთს **ნიკოლოზ ბროლაძე** და **ნიკოლოზ მარგველაშვილი** შეხვდნენ. ბროლაძემ, აშკარა უპირატესობით, წმინდად, 8:0 დაამარცხა თანაგუნდელი. ჩვენს გუნდში ვერცხლის მედალი **თამაზ ღლონტმაც** (48) მოიპოვა, ბრინჯაოს მედალს კი **რატი ხოზრევანიძე** (41), **თემურ ორჯონიკიძე** (48), **ნიკოლოზ შიუკაშვილი** (62), **დათა ჩხაიძე** (68) და **იაგო გობაძე** (75) დაეუფლნენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა შარშანდელი შედეგი ხარისხობრივად კი გააუმჯობესეს, მაგრამ წლეულსაც ოქროს გარეშე დარჩნენ: შარშან თუ ხუთი ბრინჯაო მოიპოვეს, წლეულს ოთხი მედალი ირგუნეს, რომელთაგანაც სამი ვერცხლია და ერთი – ბრინჯაო. წლეულს ფინალში გავიდნენ, მაგრამ ვერცხლს დასჯერდნენ: **ნიკოლოზ სანთელაძე** (41), **გიგი ქურხული** (52) და **მიხეილ კალაიჯიშვილი** (75), ხოლო **დავით კუჭუაშვილი** (68) მესამეზე გავიდა. **ჯონი ლორიას** გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები, გუნდურ ჩათვლაში 109 ქულით, მესამეა რუსეთისა და თურქეთის შემდეგ.

სამწუხაროდ, უნგრეთში წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი გოგონები – **მარინა სადკოევიც** (36) და **მაია ფანჩულიძეც** (66) პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ.

გასვლითი ღონისძიება დმანისში

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთთან ერთად, ახორციელებს ერთობლივ პროექტს „ოლიმპიზმი“, რომლის პირველი ეტაპიც თბილისში უკვე ჩატარდა, მერე რეგიონებში გავიდა და თავდაპირველად თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა.

მომდევნო გასვლითი ღონისძიება დმანისში შედგა, სადაც, თელავის მსგავსად, პროექტს ასევე დიდი ინტერესით შეხვდნენ და სამასპინძლოდ იქაც დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა მხარის ადმინისტრაციისა და რეგიონული ეოკ-ის ხელმძღვანელთა თაოსნობით, თუმცა დამხვდურთა უმეტესობას, ცხადია, იქაური საჯარო სკოლების მოსწავლეები და მათი პედაგოგები შეადგენდნენ. დმანისელებს ოლიმპიურ ჩემპიონთაგან **კახი კახიაშვილი** და **დავით გობეჯიშვილი** ესტუმრნენ. იყვნენ ძალოსან გოგონათა ნაკრების წევრებიც, რომლებმაც საჩვენებელი გამოსვლები გამართეს.

სტუმრებმა მასპინძლებს ჯერ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს, მერე კი დმანისელმა მოსწავლეებმაც წარმოუდგინეს მათ ოლიმპიზმის თემატიკაზე და ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე მომზადებული ნაშრომები. თავის მხრივ, ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც უპასუხეს მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების მრავალრიცხოვან შეკითხვებს, ბოლოს, ტრადიციულად, გაიმართა სახალისო ვიქტორინა, რომელშიც ბავშვები პასუხობდნენ სტუმართა მიერ დასმულ შეკითხვებს. ბევრმა მათგანმა ოლიმპიზმისა და, ზოგადად, სპორტის კარგი ცოდნა გამოავლინა, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ოლიმპიურ ჩემპიონთა ავტოგრაფებით დამშვენებული წიგნებით.

შეხვედრის დასასრულს სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, **ელგუჯა ბერიშვილმა** პროექტში მონაწილე სკოლებისა და საგანმანათლებლო ცენტრის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ბოლო წლებში სეოკ-ის მიერ გამოცემული წიგნები და ჟურნალები.

სასწავლო სეზონის დასრულებასთან ერთად ამ პროექტსაც და ამ მიმართულებით სამინისტროს სხვა ანალოგიურ ღონისძიებებსაც „მკვდარი სეზონი“ უდგებათ. რეგიონებში „ოლიმპიზმის“ გასვლითი ღონისძიებები შემოდგომიდან ისევ გაგრძელდება და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს, პარალელურად კი, სამინისტრო აგრძელებს მუშაობას სპორტის გაკვეთილების რეფორმირებისთვის. ამ კუთხით მთავარი ყურადღება სწორედ რეგიონებზე გადადის, რადგან თბილისში პრაქტიკული თუ თეორიული მეცადინეობები წლეულს მეტ-ნაკლებად ჩატარდა. ახლა სამინისტრო იწყებს რეგიონებში მასწავლებელთა შერჩევას „ტრენერის“ ინსტიტუტისთვის: შეარჩევენ 3-3 პედაგოგს, რომლებსაც თბილისში ჩაუტარებენ სემინარს და მერე ისინი ადგილებზე სხვებს შეასწავლიან, როგორ უნდა დანერგონ პრაქტიკაში ის სიახლეები, რასაც სპორტის გაკვეთილების რეფორმირებისთვის სამინისტროს ახალი პროექტი ითვალისწინებს. შეგახსენებთ, რომ ერთი ამგვარი სემინარი გაზაფხულზე განათლებისა და მაშინდელი სპორტის სამინისტროების ხელშეწყობით სპორტის სასწავლო უნივერსიტეტმა უკვე ჩაატარა, თუმცა მასში, ძირითადად, თბილისელი პედაგოგები მონაწილეობდნენ, მხოლოდ სამი რეგიონი იყო წარმოჩენილი. ახლა ძირითადი აქცენტი სწორედ მათზე იქნება გადატანილი. იმ პირველ შემთხვევაშიც ზემოდასახელებული სამინისტროების წარმომადგენლები მერე ადგილებზეც ჩავიდნენ და შეამოწმეს, რამდენად წარმატებით იყენებდნენ გადამზადებული მასწავლებლები სემინარზე ნასწავლს და უნდა ითქვას, რომ ნანახით კმაყოფილები დარჩნენ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საბანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

დაეხმარები მასწავლებელს

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსში (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

8 ლარი

თამაზ ვასაძე ქართული ენის ბგიოგრაფიული პრობა ლიტერატურის მასწავლელისთვის

4 ლარი

თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



ბიოლოგია საატესტატო გამოცდისთვის ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი

6 ლარი



ფიზიკა საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია

10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ეროვნული აქსია სკოლებისთვის



ბოლო წლების საერთაშორისო ბენჩმარკერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

ფასი – 9 ლარი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი (ერთი ცალი)

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.